



## ნეილ სმელზერი

# სოციალური ჯგუფები

1. სოციალური ჯგუფის ცნება
2. პირველადი და მეორადი ჯგუფები
3. პირველადი ჯგუფები თანამედროვე საზოგადოებაში. ჰოტორნის ექსპერიმენტი
4. რატომ ქმნიან ადამიანები ჯგუფებს. ინსტრუმენტალური და ექსპრესიული ჯგუფები
5. ჯგუფების ზომები. დიადა, ტრიადა, უფრო დიდი ჯგუფები
1. 6. ჯგუფი - კომუნიკაცია და ძალაუფლება
2. 7. ჯგუფის დინამიკა
3. 8. ბიუროკრატია და მიზნობრივი ჯგუფები
4. 9. განსაკუთრებული კულტურის საფუძველზე გამოყოფილი ერთობები
5. 10. ქცევის მსგავსებაზე დამყარებული ერთობები

**საკვანძო სიტყვები და გამოთქმები:** სოციალური ჯგუფი, პირველადი და მეორადი ჯგუფები, ჰოტორნის ექსპერიმენტი - „ადამიანური ფაქტორი“, ინსტრუმენტალური და ექსპრესიული ჯგუფები, ჯგუფი - კომუნიკაცია - ძალაუფლება, დიადა, ტრიადა, ერი, ხალხი, ბრბო, ბიუროკრატია, „პუბლიკა“, კოლექტიური ქცევის ფორმები.

აქამდე ჩვენ ვიხილავდით ადამიანთა ქმედებებს-ქცევებს მათი ურთიერთობების, დროის მიხედვით მოკლე მონაკვეთში. მაგრამ არაფორმალური როლის ცნების შემოღება უკვე გულისხმობს ხანგრძლივ ურთიერთობას, რომლის საფუძველზე მეტნაკლებად მდგრადი ურთიერთობები ყალიბდება, რაც ურთიერთკავშირების ხანგრძლივობასა და სიმტკიცეს ხელს უწყობს. აღნიშნული მდგრადობა სრულადაა რეალიზებული ჯგუფებში. ახლა სოციალური ცხოვრების ამ მნიშვნელოვან თვისებას მივხედოთ.

რა არის ჯგუფი? 80-იანი წლების დასაწყისში ჟურნალისტებმა აღნიშნეს, რომ დანაშაულებრივი ჯგუფები, რომლებიც ადრე ჩრდილოეთის ქალაქებში იყვნენ თავმოყრილი, თანდათანობით ისეთ შორეულ ადგილებში გავრცელდნენ, როგორებიცაა ელ - პასო, ალბუკერკი, ბირმინჰემი და ბერკლი. ეს ბანდები თავიანთ თავს „თავის ქალასა“ და „მგლებს“ უწოდებდნენ, და არა მხოლოდ ტრადიციულ „დარბევებს“ ეწეოდნენ. გაიზარდა მათი აგრესიულობა - ბანდიტები ადამიანებს ხშირად სცემდნენ ჯაჭვებით, ხელკეტებით ან იარაღს იყენებდნენ. გარდა ამისა, თანამედროვე ქალაქური ბანდები ხშირად ჩადიან სერიოზულ დანაშაულს, ნარკოტიკებით ვაჭრობისა და



დაყაჩაღების ჩათვლით. ეს ბანდები არიან ჯგუფები. რატომ არის ბანდა ჯგუფის მაგალითი? ჯგუფის ძირითადი ნიშნების განსაზღვრისათვის მივმართოთ მერტონს (1968). მერტონი განსაზღვრავს ჯგუფს, როგორც ადამიანების ერთობას, რომლებიც ერთმანეთთან განსაკუთრებული სახით ურთიერთობენ, გაცნობიერებული აქვთ საკუთარი თავის მიკუთვნებულობა ამ ჯგუფისადმი და სხვა ადამიანების თვალში მის წევრებად ითვლებიან.

ჯგუფის პირველი არსებითი ნიშანი მის წევრებს შორის განსაკუთრებული ურთიერთობაა. ქალაქური ბანდის წევრები ერთად დახეტილობენ ქალაქის ქუჩებში, ერთად გეგმავენ შემდეგ ქმედებებს (რასაც ხშირად საიდუმლოდ ინახავენ), ვალდებული არიან დაიცვან ერთმანეთი გარედან თავდასხმის შემთხვევაში და ა.შ. არა ნაკლებ მნიშვნელოვანია წესი, რომლის თანახმად: ჯგუფის წევრების ურთიერთობის მანერები ჯგუფის შიგნით, „თავისიანებთან“ ჯგუფს გარეთ, უცხოებთან, განსაკუთრებით კონკურენტული ბანდების წარმომადგენლებთან მიუღებელია.

საქმიანობისა და ურთიერთობის მოყვანილი დამახასიათებელი მაგალითები ჯგუფის სტრუქტურას განსაზღვრავენ. თავს იჩენს ჯგუფებს შიგნით ურთიერთობის სხვადასხვა სახეები, როგორებიცაა ძმობა, ქალთა ორგანიზაციები, კლუბები, სატანკო ეკიპაჟები არმიაში.

ჯგუფის მეორე მნიშვნელოვანი თვისებაა - წევრობა, ამ ჯგუფისადმი მიკუთვნებულობის გრძნობა. ქუჩის ბანდების წევრები ძლიერ ზეწოლას ანხორციელებენ ახლო-მახლო მცხოვრებ მოზარდებზე ჯგუფში ჩათრევის მიზნით; ბანდაში ჩარიცხვა ხშირად საიდუმლო რიტუალების დაცვით მიმდინარეობს, რაც მაფიას ახასიათებს. იმისათვის, რომ გახდეს ბანდის სრულყოფილი წევრი ყმაწვილი იძულებულია გამოავლინოს სითამამე, მოწინააღმდეგე ბანდის მიმართ ძალადობის აქტი ჩაიდინოს. ხშირად რაიმე გარეგნული ნიშანი ბანდის წევრობის სიმბოლოა: ოქროს ბეჭედი საყურედ, დადგენილი ფერის აბრეშუმის ნაჭერი. ბანდის წევრები ჯგუფისადმი ერთგულებას და მოწინააღმდეგეთა მიმართ სიძულვილს მუდმივად უსვამენ ხაზს.

მერტონის (1968) თანახმად, ჯგუფის წევრები, სხვა ადამიანების მიერ აღიქმებიან, როგორც ამ ჯგუფის წევრები. ჯგუფს, უცხოთა თვალში, გააჩნია საკუთარი იდენტობა. ეს კარგად ჩანს ქალაქის იმავე ჯგუფის მაგალითზე. ბანდა „ჰოპ სინგ ბოიზ“, სან-ფრანცისკოდან, მოწინააღმდეგეთა მიერ იდენტიფიცირებულია ბანდასთან. პოლიცია, რომელიც მუდმივად ებრძვის მას, ასევე მას შეკრულ ჯგუფად თვლის.

ჯგუფური იდენტობა ბევრად უფრო მდგრადია, ვიდრე შეიძლება ივარაუდო. თუ ჩვენ ვხვდებით ადამიანს და ვიგებთ, რომ ის არის რელიგიური ჯგუფის წევრი (მაგალითად, ებრაელი-ქრისტიანებისა) ან ეთნიკური ჯგუფის (მაგალითად, ბერძნული წარმოშობის



ამერიკელი), ჩვენ ჩვეულებრივ ვვარაუდობთ, რომ მასზე ჯგუფს აქვს გავლენა და ვთვლით, რომ ის ჯგუფის სხვა წევრების გავლენით იქცევა და მოქმედებს. თუ, მაგალითად, ბერძნული წარმოშობის ამერიკული ქალაქის მერის არჩევნებზე ხმას ბერძნული წარმოშობის კანდიდატს აძლევს, ჩვენ ვთვლით, რომ მასზე ჯგუფი ახდენს გავლენას.

ექსპერიმენტული მონაცემები ჯგუფური იდენტობის მნიშვნელობას ამტკიცებენ. უაიდლერმა (1978) თხოვნით მიმართა სტუდენტებს დაკვირვებოდნენ ადამიანებს, როდესაც ისინი რაიმე გადაწყვეტილებას ღებულობენ. გადაწყვეტილების მიღებისას ზოგიერთები მარტო მოქმედებდნენ. სხვებთან დასვეს სამი უცნობი, სტუდენტებს უთხრეს, რომ ოთხივე ერთმანეთისათვის უცნობია, შემთხვევით არიან შერჩეული. მათთან ერთად სხვებიც ისხდნენ, მაგრამ სტუდენტებს უთხრეს, რომ ესენი ახლახან შექმნილი ჯგუფის წევრები არიან.

შემდეგ სტუდენტებს სთხოვეს განესაზღვრათ - ღებულობდნენ თუ არა მათი დაკვირვების ობიექტები გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად თუ ჯგუფის ზეწოლით მოქმედებდნენ. ადამიანები, რომლებიც მარტო ისხდნენ, სტუდენტების აზრით, გადაწყვეტილებასაც მარტონი იღებდნენ. ისინი, ვინც უცნობებთან ისხდნენ, თითქოსდა არ იყვნენ მათი გავლენის ქვეშ. მაგრამ, როდესაც ადამიანი, რომელიც ჯგუფის წევრად ითვლებოდა, ჯგუფის სხვა წევრებს ეთანხმებოდა, შესაბამისდ, სტუდენტების აზრით გადაწყვეტილებასაც მათი ზეწოლით იღებდა. ხოლო, როდესაც ჯგუფის ერთი რომელიმე წევრი არ ეთანხმებოდა დანარჩენებს, სტუდენტებმა ჩათვალეს, რომ ის გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად ღებულობს. უეჭველია, სტუდენტებმა ამგვარი ახსნა მოუძებნეს დაკვირვების ობიექტების ქცევებს იმიტომ, რომ მსგავს სიტუაციებში თავად ისინი ანალოგიურად იქცევიან.

პირველადი და მეორადი ჯგუფები. სამი ძირითადი ნიშანი, რომელიც ჩვენ ზემოთ განვიხილეთ - ურთიერთქმედება, წევრობა და ჯგუფური იდენტურობა - მრავალ ჯგუფს ახასიათებს. ორი შეყვარებული, დასვენების დღეებში სათევზაოდ წასული სამი მეგობარი, ბრიჯის მოთამაშეთა კლუბი, სკაუტები, საწარმოო გაერთიანება - ეს ყველა ჯგუფებია. მაგრამ ორი შეყვარებულისაგან და სამი მეგობრისაგან შემდგარი ჯგუფები არსებითად განსხვავდებიან ერთ მაგიდასთან მსხდომი ჯგუფისაგან, რომელი კომპიუტერს ამონტაჟებს. შეყვარებულები და მეგობრები პირველად ჯგუფებს ქმნიან; კომპიუტერის ამწყობები - მეორადს. პირველადი ჯგუფი მცირე რაოდენობის ადამიანებისაგან შედგება, რომელთა შორის დამყარებული ურთიერთობა მათ ინდივიდუალურ თვისებებს ეფუძნება. ეს ჯგუფები მცირეა, რადგან სხვაგვარად ყველას შორის პიროვნული ურთიერთობების დამყარება ძნელი იქნებოდა .



ჩარლზ კულიმ (1909) პირველმა შემოიღო პირველადი ჯგუფის ცნება ოჯახის მიმართ, რომლის წევრებს შორის მდგრადი ემოციური ურთიერთობები ყალიბდება. კულის თანახმად, ოჯახი ითვლება „პირველადად“, რადგან არის პირველი ჯგუფი, რომელიც ჩვილის სოციალიზაციის პროცესში ძირითად როლს ასრულებს. შემდგომში სოციოლოგებმა ამ ცნების გამოყენება ნებისმიერი ჯგუფის შესწავლისას დაიწყეს, რომლებშიც ჯგუფის ხასიათის განმსაზღვრელი მდგრადი პიროვნული ურთიერთობები ყალიბდება. ამგვარად, შეყვარებულები, მეგობრები, კლუბის წევრები, რომლებიც არა მხოლოდ ბრიჯს თამაშობენ ერთად, არამედ სტუმრადაც დადიან ერთმანეთთან, პირველად ჯგუფებს წარმოადგენენ.

მეორად ჯგუფებს ქმნიან ადამიანები, რომელთა შორის თითქმის არ არის ემოციური დამოკიდებულება, მათი ურთიერთობა ერთიანი მიზნის მიღწევის სურვილითაა განსაზღვრული. ამ ჯგუფებში მთავარია არა პიროვნული თვისებები, არამედ გარკვეული ფუნქციის შესრულების უნარი. კომპიუტერის საწარმოო დაწესებულებაში მმართველის, კურიერის, ინჟინერის, ადმინისტრატორის თანამდებობების დაკავება ყოველ ადამიანს შეუძლია, რომელსაც შესაბამისი მომზადება აქვს. თუ პიროვნებები, რომელთაც ეს თანამდებობები უკავიათ თავს ართმევენ სამსახურს, ორგანიზაცია ნორმალურად ფუნქციონირებს. თითოეულის ინდივიდუალური თვისებები თითქმის არაფერს არ ნიშნავს ორგანიზაციისათვის და პირიქით, ოჯახისა და მოთამაშეთა ჯგუფის წევრები უნიკალურია. მათი პიროვნული თვისებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, არცერთი მათგანის შეცვლა სხვა ვინმეთი არ შეიძლება.

იმის გამო, რომ მეორად ჯგუფებში როლები მკაცრადაა განსაზღვრულია, წევრებმა ხშირად ცოტა რამ იციან ერთმანეთის შესახებ. როგორც წესი, შეხვედრისას ისინი ერთმანეთს არ ეხვევიან. მათ შორის არ იქმნება ემოციური ურთიერთობა, როგორც მეგობრებსა და ოჯახის წევრებს ახასიათებს. საწარმოო ორგანიზაციებში ძირითადია შრომითი ურთიერთობები. ამგვარად, არა მხოლოდ როლები, არამედ კომუნიკაციის წესებიც მკაცრადაა განსაზღვრულია. რადგან პირადი საუბრები არაეფექტურია, კომუნიკაციები ხშირად ატარებენ უფრო ფორმალურ ხასიათს და ხორციელდება წერილობითი დოკუმენტებისა და ტელეფონების საშუალებით.

მაგრამ ზედმეტი არ უნდა მოგვივიდეს, მეორად ჯგუფებს ყოველგვარ თავისებურებებს მოკლებული სრული უსახურობა არ დავაბრალოთ. სამსახურებში ადამიანებს შორის მყარდება მეგობრული ურთიერთობები და ახალი ჯგუფები იქმნება, ასევე სკოლებში და სხვაგანაც. თუ ურთიერთქმედების ინდივიდებს შორის საკმაოდ მდგრადი ურთიერთობები ყალიბდება, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ მათ ახალი პირველადი ჯგუფი შექმნეს.



## პირველადი ჯგუფები თანამედროვე საზოგადოებაში.

ბოლო ორი საუკუნის მანძილზე სოციალურ მეცნიერებათა თეორეტიკოსები აღნიშნავენ პირველადი ჯგუფების როლის შესუსტებას საზოგადოებაში. მათ მიაჩნიათ, რომ სამრეწველო რევოლუციამ, ქალაქების განვითარებამ და კორპორაციების აღმოცენებამ შედეგად მსხვილი უსახური ბიუროკრატიის შექმნა გამოიწვია. ამ ტენდენციის დასახსნათებლად „მასობრივი საზოგადოებისა“ და „თემის(ერთობის) რღვევის“ ცნებები იქნა შემოღებული.

მაგრამ ბოლო რამდენიმე ათწლეულის სოციოლოგიური გამოკვლევები ამ კითხვების სირთულეს მოწმობს. მართალია, თანამედროვე საზოგადოებაში მეორადი ჯგუფების ბატონობა შეიმჩნევა. მაგრამ ამავე დროს პირველადი ჯგუფები საკმაოდ მდგრადები აღმოჩნდნენ და პიროვნებასა და უფრო ფორმალურ, ცხოვრების ორგანიზაციულ მხარეს შორის დამაკავშირებელი რგოლის როლს ასრულებენ. პირველადი ჯგუფების შესწავლა რამდენიმე სფეროში მიმდინარეობს. დავიწყოთ პირველადი ჯგუფების როლის შესწავლით მრეწველობაში.

მრეწველობა. სამოცი წლის წინათ სოციალური პრობლემების მკვლევარების ჯგუფმა ჩიკაგოში შეისწავლა გიგანტური ქარხანა ჰოტორნის (რომელსაც მართავდა „Western Electric Company“) მუშების ქცევები. მეცნიერები ცდილობდნენ დაედგინათ ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებდნენ შრომის ნაყოფიერებასა და მუშების ინდივიდუალურ გამომუშავებას. მაგალითად, მათ მიაჩნდათ, რომ შრომის პროცესში შესვენებების რაოდენობა შრომის ნაყოფიერებაზე გავლენას ახდენს. ე.ი. მათ შეარჩიეს მომსახურე ქალთა ჯგუფი და შეუდგნენ ექსპერიმენტს. თავიდან მათ სამუშაო დღის განმავლობაში რამდენიმე დიდი შესვენება მისცეს, შემდეგ შესვენებების ხანგრძლივობა შეამცირეს, მაგრამ უფრო ხშირად ასვენებდნენ. ექსპერიმენტატორები ხან ამცირებდნენ და ხანაც ადიდებდნენ ლანჩისათვის დადგენილ პაუზას. ამას გარდა, სხვადასხვანაირად აძლიერებდნენ სამუშაო ადგილის განათებას: ვარაუდობდნენ, რომ უკეთესი განათება ხელს შეუწყობს წარმოების ზრდას.

ექსპერიმენტის შედეგებმა გააოცა მეცნიერები. როდესაც მათ გაადიდეს დასვენების საათები, შრომის ნაყოფიერება იზრდებოდა. შეამცირეს და ის მაინც იზრდებოდა. მაგრამ, როდესაც დაუბრუნდნენ შრომისა და დასვენების თავდაპირველ ვარიანტს შრომის ნაყოფიერება უფრო გაიზარდა. იგივე შეიმჩნეოდა ლანჩის დროსთან დაკავშირებული ცვლილებების დროსაც და განათების ცვლილებებისას. ნებისმიერი ცვლილებების დროს ქალთა შრომის ნაყოფიერება იზრდებოდა.

ასეთი შედეგების მიღების შემდეგ მკვლევარები შეეცადნენ გამოევიდნათ სხვა ფაქტორები (გარდა შრომის პირობებისა) რომლებიც შრომის ნაყოფიერებაზე, მწარმოებლურობაზე



გავლენას ახდენდნენ. აღმოჩნდა, რომ ექსპერიმენტისათვის შერჩეულმა ქალებმა შექმნეს ჯგუფი. მათ ჩათვალეს, რომ რამდენადაც სწორედ ისინი შეარჩიეს, ამით მათ შეიძინეს განსაკუთრებული სტატუსი, და ჩათვალეს, რომ არიან „ელიტური“ ჯგუფის წევრები. ამიტომაც ჩვეულებრივზე მონდომებულად ცდილობდნენ და მკვლევარების მოთხოვნების შესაბამისად შრომობდნენ. რეაგირების ამ ტიპს ჰოტორნის ეფექტი დაერქვა. ის შემდეგში მდგომარეობს: ალბათ, თვით ფაქტი, რომ სწორედ მოცემული ჯგუფი შეისწავლება, მის წევრების ქცევებზე უფრო მეტად ზემოქმედებს, ვიდრე სხვა ფაქტორები, რომელთა გამოკვლევასაც მეცნიერები ცდილობდნენ.

ამ ექსპერიმენტისა და სხვა მონაცემებზე დაყრდნობით ჰოტორნელმა მკვლევარებმა გააკეთეს დასკვნა, რომ „ადამიანური ფაქტორი“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს შრომით საქმიანობაში. როდესაც მშრომელი ფულად ანაზღაურებასთან, შექებასთან და თანამდებობრივ წინსვლასთან დაკავშირებულ ახალ სტატუსს იძენს, ეს მისი შრომის ნაყოფიერებას ზრდის. ამას ასევე საჩივრებზე რეაგირების ეფექტური სისტემა უწყობს ხელს. თუ მუშას აქვს შესაძლებლობა ესა თუ ის საკითხი მშვიდი ხასიათის მქონე უფროსთან განიხილოს, რომელიც მას ყურადღებით მოუსმენს, გამოხატავს თანაგრძნობასა და პატივისცემას, და თუ ამის შემდეგ რაღაც შეიცვლება უკეთესობისაკენ, მუშის ნდობა ხელმძღვანელობისადმი, მათი პირადი ღირსების გრძნობა და სწრაფვა ჯგუფური ერთიანობისაკენ იზრდება.

ჰოტორნელმა ექსპერიმენტატორებმა გამოავლინეს აგრეთვე მშრომელთა მცირე, კოხტად ორგანიზებული ჯგუფების დადებითი როლი. ასეთი ჯგუფების წევრებში ხშირად მოდიოდა ხუმრობები, გართობები, თამაშები. სამუშაო საათების შემდეგ ისინი თამაშობდნენ ბეისბოლს, ბანქოს, დადიოდნენ ერთმანეთთან სტუმრად. და ამ პირველად ჯგუფებს შეეძლოთ გავლენა მოეხდინათ მთელი ქარხნის ნაყოფიერების ზრდაზე, წარმოებითობაზე. მიუხედავად ხელმძღვანელობის მცდელობისა გაეკონტროლებინათ გამომუშავება, დაედგინათ ნორმები, ეს ჯგუფები თავადვე, არაოფიციალურად არეგულირებდნენ მუშაობის ტემპებს. ვინც ძალზე სწრაფად მუშაობდა (მათ „მეტიჩრები“ დაარქვეს), ჯგუფის მხრიდან ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდნენ, მათ აჯავრებდნენ, დასცინოდნენ, უგულვებელყოფდნენ. ხშირად ეს ზეწოლა იმდენად ძლიერი იყო, რომ მუშები განგებ მუშაობდნენ ნელი ტემპით, უარს ამბობდნენ პრემიებზე ნორმის გადამეტებით შესრულებისათვის (როტლისბერგერი, დიქსონი, 1947)

უბედურებები. ქარიშხალი, წყალდიდობა, აფეთქება - ყველა ეს უბედურებები პანიკას, სიცოცხლის გადასარჩენად ადამიანთა ადგილგადანაცვლებას იწვევს; ასეთ სიტუაციებში ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მუშაობა ირღვევა. სტიქიური უბედურებების ჟამს ადამიანების ქცევის კვლევა ცხდყოფს, რომ უმრავლესობის პირველი რეაქცია



ახლობლებთან, ზოგჯერ მეგობრებთან ყოფნის სურვილია. ადამიანები უარს ამბობენ თავიანთი მოვალეობების შესრულებაზე სამსახურში, რადგან პირველ ადგილზე ოჯახის წევრებისა და მეგობრების უსაფრთხოების საქმეს აყენებენ. ეს რეაქცია როლური კონფლიქტების მიზეზი ხდება: მოსამსახურე უნდა იყოს თავის სამუშაო ადგილზე თუ ოჯახის წევრები ეძებოს? რა უნდა გააკეთოს მან - გაიქცეს სახლში, თუ ქარხნის მენეჯერის საკუთრება დაიცვას?

ადამიანთა უმრავლესობა ცდილობს ოჯახთან ერთად იყოს. ქარიშხლისა და აფეთქებების ვითარებებში ქცევების შესწავლისას ლუის კილიანი (1952) აკეთებს დასკვნას, რომ ექსტრემალურ პირობებში ადამიანთა უმრავლესობამ მიატოვა სამუშაო ადგილები და სახლისაკენ გაემართა. ვინც ჩვეულებრივ ექსტრემალურ პირობებში საშიშ ადგილებზე მუშაობდა ადგილებზე დარჩენის მზადყოფნას ავლენდნენ. როდესაც ტეხას\_სიტიში ადგილი ქონდა ძლიერ აფეთქებას, ტერიტორიის გამწმენდი სპეციალურად მომზადებული ჯგუფები ადგილზე რჩებოდნენ, სანამ ყველაფერი არ დამშვიდდა და ახალი აფეთქებები აღარ იყო მოსალოდნელი.

ქალაქში სადაც ქარიშხალი მძვინვარებდა, პოლიციის ოფიცერი სამსახურის მოთხოვნებსა და მეზობლისა და მეგობრის როლებს შორის ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა. „როდესაც ქარიშხლის შემდეგ შემოვუარე ქალაქს მივხვდი, რომ პირველ რიგში გარე სამყაროს უნდა დავკავშირებოდი და გამომეძახა მაშველები. გავემგზავრე მეზობელ ქალაქში რომ მათთვის შველა მეთხოვა. გზაზე სახელით მეძახდნენ ადამიანები, რომელთაც მე ვიცნობდი, ისინი მთხოვდნენ დახმარებას მათი ნათესავების მოძებნაში. მე განვიცადე ცხოვრების უმძიმესი წუთები, რადგან ვერ ვეხმარებოდი ადამიანებს, რომლებიც მომმართავდნენ როგორც მეგობარს, მაგრამ მე მათ დასახმარებლად გაჩერება არ შემეძლო“. ამ ოფიცერმა მეზობელი ქალაქის მკვიდრთაგან დამხმარე ჯგუფების შესაქმნაში ძირითადი როლი შეასრულა.

თუმცა, ერთი მხრივ, საერთო უბედურების ჟამს ოჯახისადმი თავდადება შეიძლება დააბნოს ადამიანი, მეორე მხრივ, ამან შეიძლება მაშველი ჯგუფების საქმიანობას შეუწყოს ხელი. როდესაც ტეხას\_სიტიში ძლიერი აფეთქება მოხდა, ადამიანები ეძებდნენ რა თავის ახლობლებს ეხმარებოდნენ მაშველებს. მაშასადამე, ავარიულ სიტუაციებში მოქმედების დაგეგმვისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ადამიანთა ერთგულება პირველადი ჯგუფების მიმართ. კავშირების შექმნა მუშებისა და მათი ოჯახებისათვის, მეცადინეობები და ავარიულ სიტუაციებში ქცევების შესწავლა, პრიორიტეტების ზუსტად განსაზღვრა \_ უბედურებით მოტანილი ზიანს შეამცირებს.

სტიქიური უბედურებების დროს ადამიანების ქცევების გვიანდელმა გამოკვლევებმა აჩვენეს პირველადი ჯგუფების მნიშვნელობა, იმასთან შედარებით, როდესაც ეს ჯგუფები არ



არსებობდნენ. 1974 წლის თებერვალში დასავლეთ ვირჯინიაში, ბუფალო კრინის წყალდიდობის მიერ გამოწვეული ვითარების შესწავლისას ერისკონი (1976) აღნიშნავს, რომ ეკონომიკური სიძნელეებისა და მოსახლეობის მიგრაციის გამო, რასაც ადგილი უბედურებამდე ათეული წლების განმავლობაში ქონდა, ერთობის წევრებს შორის პირადი კავშირები შესუსტებული იყო. მან აჩვენა, რომ პირველადი ჯგუფისათვის დამახასიათებელი კავშირების არარსებობამ ერთობის წევრებზე ძლიერი გავლენა მოახდინა; სტიქიური უბედურების შემდეგ ისინი დიდხანს იყვნენ სასოწარკვეთილებისა და გამოუვალობის შეგრძნების ტყვეობაში.

სოციალური კონტროლი: ჩინეთის მაგალითი. სამრეწველო წარმოებასა და სტიქიური უბედურებების სიტუაციებში ქცევის მაგალითები იმას მოწმობენ, რომ პირველადი ჯგუფები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოციალურ ცხოვრებაში. სხვა მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მცირე ჯგუფები სოციალური კონტროლისა და ხალხთა მასების მართვისათვის გამოიყენოს.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მოსახლეობის სხვადასხვა ფენების გვერდით ჩამოყალიბეს „სიაო-ცუ“-ს სახელით ცნობილი ჯგუფები, რომლებშიც 8-15 ადამიანი ირიცხებოდა. ჯგუფები ორგანიზებულ იყვნენ ფაბრიკებსა და მაღაროებში, სამინისტროებში, სამხედრო ნაწილებში, ქალაქის უბნებში. ორგანიზაციაში საქმიანობის გარდა ჯგუფის წევრები პერიოდულად აწყობდნენ კრებებს, სადაც ე.წ. ურთიერთკრიტიკას ეწეოდნენ. კრებაზე ყოველი მონაწილე ჯერ საკუთარ თავს და ნაკლს აკრიტიკებს, შემდეგ სხვების კრიტიკას ეწევა და სხვა წევრებისაგან ისმენს საკუთარი ქცევის კრიტიკას. ასეთი სახით ჯგუფი ეწეოდა ძლიერ და ხანგრძლივ ზეწოლას საკუთარ წევრებზე; ძალაუფლება ასეთ ჯგუფებს ოფიციალური სახელმწიფო პოლიტიკის საყოველთაო მხარდაჭერისათვის იყენებდა (უაიტი, 1974).

მოყვანილი მაგალითები მოწმობენ თუ რამდენად მნიშვნელოვანია პირველადი ჯგუფები თანამედროვე ცხოვრებაში. ამ ჯგუფებმა არათუ დაკარგეს თავიანთი მნიშვნელობა მეორადი ჯგუფების გაძლიერების ფონზე, არამედ, როგორც აღმოჩნდა, დიდი ორგანიზაციების ფუნქციონირებას ხელს უწყობენ. ისეთი გიგანტური ინსტიტუტები, როგორებიცაა ვაჭრობა, მთავრობა, შეიარაღებული ძალები, რელიგია და განათლება, მცირე ზომის პირველად ჯგუფებს ეყრდნობიან.

### **რატომ ქმნიან ადამიანები ჯგუფებს.**

ჯგუფების ანალიზისას, პირველ რიგში, უნდა გავარკვიოთ თუ რატომ ერთიანდებიან ადამიანები ჯგუფებად? საკითხის სიღრმისეული შესწავლისას აუცილებელია მხედველობაში ვიქონიოთ ფსიქოლოგიური და ბიოლოგიური ფაქტორები, რომლის საფუძველზეც ყალიბდება კავშირები ადამიანებსა და პრიმატებს შორის. დეტალებს თავი





ავარიდოთ და გავიხსენოთ მხოლოდ, რომ მაიმუნების (ვეხებით მხოლოდ მაღალგანვითარებულ პრიმატებს) ნაირსახეობების უმრავლესობას და ასევე ადამიანებსაც ჯგუფებად ცხოვრებისაკენ სწრაფვა ახასიათებთ. ფაქტობრივად, ჯგუფი არის სიცოცხლის შენარჩუნების მთავარი ფაქტორი. როლების დანაწილების წყალობით (დამკვირვებელი, ხელმძღვანელი, დამცველი) ჯგუფი უკეთ ახერხებს საკვების მოპოვებას, ეფექტურ თავდაცვას, ვიდრე ამას თითოეული წევრი ცალ-ცალკე მოახერხებდა.

ადამიანისათვის ჯგუფი სასიცოცხლოდ აუცილებელია. როგორც წინა ლექციაში აღნიშნული, ჩვილები ხანგრძლივი დროის განმავლობაში საჭიროებენ მოვლას. დროის ამ მონაკვეთში ისინი ჯგუფებში ცხოვრებისათვის საჭირო ჩვევებს იძენენ. როდესაც გაიზრდებიან, ისინი ცოდნას, ცნებებს, ღირებულებებსა და ქცევის წესებს ითვისებენ, რომლებიც იმ ჯგუფს ახასიათებს, რომელსაც თავად ეკუთვნიან. სოციალიზაცია ხელს უწყობს საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი მათ შეგუებას და ჯგუფის შენარჩუნებას მისი რომელიმე წევრის სიკვდილის შემდეგაც კი. სოციალიზაციის გარდა ჯგუფს მრავალი სხვა ფუნქცია აქვს.

## **ჯგუფის ინსტრუმენტალური როლი.**

მრავალი ჯგუფი იქმნება რაიმე სამუშაოს შესასრულებლად. ეს ინსტრუმენტალური ჯგუფები აუცილებელია ისეთი საქმეების მოსაგვარებლად, რომლის მოგვარება მარტოხელა ადამიანისათვის ძნელია ან სულაც ვერ ახერხებს. მშენებელთა ბრიგადა, ქირურგების ჯგუფი, კონვეიერი წარმოებაში და ფეხბურთის გუნდი რაიმე მიზნის მისაღწევად იქმნება.

ჯგუფების ფორმირების ექსპრესიული ასპექტი. ჯგუფების ზოგიერთი სახე ექსპრესიულად იწოდება. მათი მიზანია დააკმაყოფილოს ჯგუფის წევრების სწრაფვა იყვნენ სოციალურად მისაღები, იმსახურებდნენ ნდობასა და პატივისცემას. მსგავსი ჯგუფები იქმნებიან სტიქიურად, გარედან მცირეოდენი ზემოქმედების შედეგად. ასეთი ჯგუფების მაგალითებია მეგობრებისა და მოზარდების ერთობები, რომელთაც ერთად თამაში, გართობა, სპორტით გატაცება, შეხვედრების ორგანიზება მოსწონთ. ინსტრუმენტალურ და ექსპრესიულ ჯგუფებს შორის არ არის მკაცრი ზღვარი. ინსტრუმენტალური ჯგუფები ხშირად ექსპრესიულ ფუნქციებს ასრულებენ. სამხედრო გაერთიანებების წევრებს შორის შეიძლება უფრო ძლიერი ემოციური ურთიერთობები ჩამოყალიბდეს, ვიდრე ეს გამარჯვების შედეგად ხდება. მეორე მხრივ, ექსპრესიული ჯგუფი შეიძლება ინსტრუმენტალურ ჯგუფად ჩაითვალოს, რამდენადაც ისინი გარკვეული მიზნის მისაღწევად \_ ისიამოვნონ ადამიანური ურთიერთობებით - იქმნებიან. ზოგჯერ ექსპრესიული ჯგუფი უფრო მეტად ინსტრუმენტურ ჯგუფად გვევლინება;



ვთქვათ, ეს შეიმჩნევა მაშინ, როდესაც მეზობლები ბინის დამქირავებელთა ასოციაციას შექმნიან.

ჯგუფის, როგორც საყრდენის როლი. ადამიანები ერთიანდებიან არა მხოლოდ ერთობლივი საქმიანობისათვის და სოციალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, არამედ იმისთვისაც, რომ შეასუსტონ უსიამოვნო გრძნობები. შახტერი (1959) ჩაატარებს რიგ კლასიკურ ექსპერიმენტებს, სადაც დაკვირვების ობიექტად იღებს დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს. მათ შესთავაზეს დროის რაიმე მონაკვეთი დალოდებოდნენ ექსპერიმენტის „დაწყებას“. ზოგიერთ მათგანს მიაწოდეს მცდარი ინფორმაცია ექსპერიმენტის ხასიათის შესახებ, რამაც მათში განგაში გამოიწვია. მათ უთხრეს, რომ ისინი ღებულობენ მონაწილეობას ექსპერიმენტში, რომლებიც დაკავშირებულია ელექტროშოკთან. შემდეგ სთხოვეს დალოდებოდნენ სანამ ექსპერიმენტატორები მოემზადებიან ექსპერიმენტის დასაწყებად. საკონტროლო ჯგუფს ასევე სთხოვეს დალოდებოდნენ, მაგრამ ამ ჯგუფის წევრებს არ მიაწოდეს ექსპერიმენტის შესახებ არანაირი ინფორმაცია. შახტერი ყველა საცდელ პირს მიმართავს კითხვით: როგორ სურთ მათ დაელოდონ ექსპერიმენტს, მარტო თუ ჯგუფთან ერთად? თითქოს „ჭირს უყვარს კომპანია“ ანდაზის დასამტკიცებლად, საკონტროლო ჯგუფის წევრებს გარდა თითქმის ყველა მიისწრაფოდა ჯგუფისაკენ, ერთობლივი ლოდინისაკენ. შახტერი აკეთებს დასკვნას, რომ საცდელ ჯგუფს ერთად უფრო უადვილდებოდა უარყოფითი ემოციების დაძლევა: ისინი მშვიდდებოდნენ, თავს არიდებდნენ ცუდ აზრებს და დამატებით ინფორმაციას ღებულობდნენ.

შემდგომმა გამოკვლევებმა მოყვანილი დასკვნები რამდენადმე შეავსეს. დღეისათვის დადგენილია, რომ არა ყველა უარყოფითი ემოცია უწყობენ ხელს ჯგუფების შექმნას. სარნოფმა და ზიმბარდომ (1961) ჩაატარეს „მოლოდინის“ სიტუაციის ექსპერიმენტების ახალი სერია, როდესაც საცდელი პირების ქცევებზე ერთმანეთთან დაკავშირებული ემოციები - შიში და მოუსვენრობა -ზემოქმედებს. მათი განსაზღვრებით, შიში - ღრმად სპეციფიკური ემოციური მდგომარეობაა, საშიშროების გარე წყაროს მიერ გამოწვეული, ხოლო მოუსვენრობა საშიშროების შინაგან წყაროსთანაა დაკავშირებული. შიშის გამოწვევის მიზნით ექსპერიმენტატორი ატყობინებს ცდის პირებს, რომ მათზე იმოქმედებს ელექტროშოკით. მოუსვენრობის გამოწვევის მიზნით ცდის პირების სხვა ჯგუფს შეატყობინეს, რომ ექსპერიმენტის მსვლელობის პროცესში მათ შეაჩარყინულების, დიდი მაწოვარებისა და ჩვილის ბოთლების წუწნა მოუწევთ. ამ შეტყობინებას უნდა გამოეწვია მათი დაბნეულობა. საკონტროლო ჯგუფის წევრებს არ მიუღიათ ექსპერიმენტის შესახებ არავითარი ინფორმაცია.

საცდელ პირებს მისცეს შესაძლებლობა დალოდებოდნენ ექსპერიმენტის დაწყებას ჯგუფთან ერთად ან მარტო. ჯგუფის წევრებს, რომელთაც შიში დაეუფლათ კამპანიაში ყოფნის



მეტი სურვილი გამოთქვას, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის წევრებმა. მოუსვენრების ჯგუფმა მარტობა ირჩია. სარნოფმა და ზიმბარდომ გააკეთეს დასკვნა, რომ ელექტომოკის შიშით შეპყრობილ საცდელ პირებს სურდათ თავიანთი გრძნობები სხვებისათვის გაეზიარებინათ. ამას გარდა სურდათ უარყოფითი ემოციებისათვის თავი დაეღწიათ. მოუსვენრობით შეპყრობილები ცდილობდნენ მის დაძლევას. როგორც ჩანს სხვა მოუსვენრებთან კონტაქტი უფრო გააძლიერებდა და არ შეასუსტებდა მათ მდგომარეობას. ამიტომ ესენი მარტობას ირჩევენ. როგორც ეტყობა, ჯგუფის წყალობით შეიძლება ჯგუფის ზოგიერთი და არა ყველა უარყოფითი ემოცია შესუსტდეს.

### **ჯგუფების სტრუქტურა.**

ამ თავის დასაწყისში ჩვენ მოკლედ დავახასიათეთ ჯგუფის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია

- მოწესრიგებული ურთიერთქმედება. როდესაც ადამიანთა ერთობა გახდება ჯგუფი, ყალიბდება ნორმები და როლები, რომელთა საფუძველზე ურთიერთქმედების წესრიგი (ან ნიმუში) დგინდება. სოციოლოგები შეისწავლიან ამ ნიმუშებს და რიგი ფაქტორების დადგენას ახერხებენ, რომლებიც მათ (ნიმუშების) ფორმირებაზე ზემოქმედებენ. ამ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ჯგუფის ზომაა.

### **ჯგუფების ზომები.**

დიადა. ესაა ორი ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი (მაგალითად, შეყვარებულები ან ორი მეგობარი), რომლებიც უნიკალური ნიშნებით გამოირჩევიან. ასეთი ჯგუფები ძალზე ხისტია და ირღვევა იმ წუთში, როდესაც ერთი წევრი ჯგუფს ტოვებს. დიადის წევრებმა უნდა შეინარჩუნონ მდგრადი ურთიერთობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის დაიშლება. დიდი ჯგუფის წევრებმა იციან, რომ რომელიმე მათგანის ჯგუფიდან გასვლის ან გარდაცვალების შემთხვევაში ჯგუფი არსებობას გააგრძელებს. თავისი სიხისტის გამო დიადა წევრების უფრო მყარ, მოწესრიგებულ და პოზიტიურ ურთიერთობას მოითხოვს, ვიდრე სხვა ტიპის ჯგუფები. ამავე დროს აქ უფრო ღრმა ემოციური სიამოვნებისათვის იქმნება პირობები, ვიდრე სხვა ჯგუფებში.

ტრიადა. როდესაც ორკაციან ჯგუფს შეუერთდება მესამე, წარმოიქმნება ტრიადა, რომელშიც ჩვეულებრივ რთული ურთიერთობები მყარდება. ადრე თუ გვიან ორი წევრის დაახლოება და მესამის გარიცხვა მოხდება. „ორი ადამიანი კომპანიაა, სამი ბრბო“: სწორედ ასე არაორაზროვნად აგებინებენ მესამე წევრს, რომ ის ზედმეტია. XIX საუკუნის გერმანელი სოციოლოგის, გეორგ ზიმელის თანახმად, რომელმაც ჯგუფების კვლევას დიდი ყურადღება დაუთმო, ჯგუფის მესამე წევრს შეუძლია ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მიუკერძოებელი შუამავლის, ოპორტუნისტის, რომელიც სხვებს თავისი



ინტერესებისათვის გამოიყენებს და „დაყავი და იბატონეს“ პრინციპით მოქმედი ტაქტიკოსის როლი შეასრულოს.

მაგალითად, პირველმა პირმშომ შეიძლება მშობელთა ურთიერთობა გააძლიეროს, გახდეს რა მათი საერთო სიყვარულის ობიექტი. ასევე ბავშვის გაჩენამ შეიძლება დააშორიშოროს მშობლები, ეჭვებისა და მათ შორის კონფლიქტის მიზეზი გახდეს. თუ მშობლები ერთმანეთში ვერ თანხმდებიან, ბავშვმა შეიძლება ერთ-ერთის მხარე დაიკავოს.

უფრო დიდი ჯგუფები. ჯგუფების წევრთა რაოდენობის გაზრდა მათი ურთიერთობების ხასიათზე მრავალნაირ გავლენას ახდენს. არსებობს მონაცემები, რომ უფრო დიდი ჯგუფები (ხუთი ან ექვსკაციანი) მეტად პროდუქტიულია, ვიდრე დიადები და ტრიადები. დიდი ჯგუფების წევრებს უფრო მეტად ღირებული წინადადებები უჩნდებათ ვიდრე მცირე ჯგუფებს. დიდ ჯგუფებში ალბათ ნაკლები თანხმობაა, მაგრამ ნაკლებია დამაბულობაც. ეს განსხვავება, შეიძლება იმასთანაა დაკავშირებული, რომ დიდ ჯგუფებში ორგანიზაციული პრობლემების გადაჭრა უფრო აუცილებელია. ასეთი ჯგუფის წევრებს ალბათ ესმით, რომ მათი ქცევები მიმართული უნდა იყოს რაიმე მიზნისადმი და იძულებული არიან თავიანთი ქმედებების კოორდინირება მოინდომონ. გარდა ამისა, თავიანთ წევრებს შორის კონფლიქტის გაძლიერებით, დიდი ჯგუფები თავიანთ წევრებზე უფრო მეტ ზეწოლას ახდენენ. ამ

ამ ჯგუფების წევრებს შორის უთანასწორობა შეიმჩნევა; ყოველ მათგანს უჭირს სხვებთან თანაბრად პრობლემის განხილვაში მონაწილეობა მიიღოს და შედეგის მიღებაზე გავლენა ქონდეს. არაა გასაკვირი, რომ დიდი ჯგუფების წევრები თავიანთი როლით დისკუსიებში ნაკლებ კმაყოფილნი იყვნენ ვიდრე მცირე ჯგუფის წევრები (თომასი, ფინკი, 1965).

არის მონაცემები, რომ ლუწრიცხვიანი ჯგუფები კენტრიცხვიანებისაგან განსხვავდებიან. ლუწრიცხვიანებში უფრო ცხადად ვლინდება უთანხმოებები, ვიდრე მეორეში, ამიტომ ეს ჯგუფები ნაკლებად მდგრადია. ისინი შეიძლება დაიშალონ თანაბარი სიდიდის ფრაქციებად, რაც შეუძლებელია კენტი რაოდენობის შემთხვევაში აქ ერთ - ერთს ყოველთვის ექნება რიცხვობრივი უპირატესობა.

ზოგიერთი მკვლევარის თვალსაზრისით რიცხვს 5 – აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ხუთკაციან ჯგუფებს ჩვეულებრივ არ აწუხებთ ჩვენს მიერ ახლა აღნიშნული პრობლემები. ამავე დროს მათ არ ახასიათებთ დიადებისა და ტრიადებისათვის დამახასიათებელი ხისტობა და დამაბულობა. ხუთკაციან ჯგუფებში ყველა დაკმაყოფილებულია თავიანთი როლით, უთანხმოების შემთხვევებშიც კი ეს ჯგუფები, როგორც წესი, არ იშლებიან. გარდა ამისა, ამ ჯგუფებში დისიდენტებს რომელიმე წევრისაგან მხარდაჭერაც კი აქვთ, მათ არ ემუქრებათ ჯგუფთან კავშირის სრული



გაწყვეტა. თუ ჯგუფში ხუთ ადამიანზე მეტია, ზოგიერთმა წევრმა შეიძლება იგრძნოს იზოლაცია (ჰეი, 1962).

დიდი ჯგუფის წევრებს ხშირად აწუხებს ჯგუფში გაბატონებული დაბალი მორალური სულისკვეთება და აბსენტიზმის (უარი მონაწილეობაზე) მაღალი დონე. შესუსტებულია კავშირები ჯგუფის ცალკეულ წევრებს შორის, ზოგჯერ არც ავლენენ თანამშრომლობის სურვილს, მით უმეტეს არ მიისწრაფიან ჯგუფური ჰარმონიისაკენ. როგორც ლიდერებსა და რიგით წევრებს შორის განხეთქილების შედეგი, აქ მკვიდრდება მკაცრი, უსახური ფორმის კონტროლი, როდესაც ზემოდან წამოსული ბრძანებები ენაცვლებიან თბილ პირად საუბრებს. მეტიც, ჯგუფში შეიძლება გაჩნდეს ფრაქციები და მტრობა (სტევიჯი, ბარნეტი, 1977).

კომუნიკაცია და ძალაუფლება. ჯგუფების ზომების ზრდის შედეგად იზრდება წევრებს შორის ერთმანეთთან ნაკლებად ურთიერთობის ტენდენცია, ე.ი. სულ უფრო ნაკლებად მიმართავენ ერთმანეთს და უფრო ხშირად მიმართავენ ლიდერს, რომლის როლი მატულობს. ამავე დროს, ხუთკაციანზე მრავალრიცხოვან ჯგუფში ლიდერი, როგორც წესი, მიმართავს მთლიანად ჯგუფს და არა მის რომელიმე წევრს. ლიდერი გადაიქცა კომუნიკაციის ცენტრად, ის ანხორციელებს ინფორმაციის მიღებასა და გადაცემას (ბეილსი,

1965). სტუდენტთა მცირე ჯგუფთან სემინარული მეცადინეობის დროს აზრთა გაცვლა-გამოცვლა უფრო მოსახერხებელია, ვიდრე ამავე პროფესორის ლექციაზე დიდ აუდიტორიაში. ლექციაზე მარტო პროფესორი ლაპარაკობს, აწვდის ინფორმაციას მთელს ჯგუფს.

დიდსა და მცირე ზომის ჯგუფებში ძალაუფლების გავრცელება მჭიდრო კავშირშია კომუნიკაციების ხასიათთან. რა სახით ხორციელდება ჯგუფებში იდეებისა და ინფორმაციების გაცვლა? რა გავლენას ახდენს ეს გაცვლა გადაწყვეტილების მიღების ჯგუფში ჩამოყალიბებულ წესებზე? გაპირობებულია თუ არა სკოლობანას მოთამაშე ბავშვების, ასფალტის დამგები მუშებისა და მეცნიერ - მკვლევართა ჯგუფების წევრთა ქცევები კომუნიკაციის საერთო წესებით, რომელთა წინასწარ დაგეგმვა შესაძლებელიცაა?


ჰაროლდ ლივიტმა (1951) აღმოაჩინა, რომ კომუნიკაციის ზოგიერთი ხერხი სხვაზე, უფრო ეფექტურია. მან შეადგინა რამდენიმე ხუთკაციანი ჯგუფი და ყოველივეს მისცა სიმბოლოების სიები. ჯგუფის ყოველი წევრის განკარგულებაშია რამდენიმე სიმბოლო, თანაც რამდენიმე ერთნაირი ქონდა ყველას. ჯგუფს მიეცა დავალება - მოემეზნათ ყველასათვის საერთო სიმბოლოები. ჯგუფის წევრებს არ ქონდათ ერთმანეთთან ლაპარაკის უფლება, მაგრამ შეეძლოთ წერილებით მიმართვა.



ლივიტმა ჯგუფები ისე განაღვა, რომ მათ ქონდათ წერილების გადაცემის ოთხი შესაძლებლობა: „წრეში“, „ჯაჭვისებურად“, „ბორბლისმაგვარად“ და „Y“-ის მსგავსად. ამ მეთოდებს ვიზუალურად მათი გამოსახულების შესაბამისი სახელები (წარმოდგენილია სქემაზე) დაერქვათ. ხაზები ყოველი ტიპის ჯგუფისათვის შესაძლებელი კომუნიკაციის საშუალებებს ასახავენ.

მკვლევარმა აღმოაჩინა, რომ „ბორბალის“ მეთოდი (როდესაც აღიარებულ ლიდერს ცენტრალური მდგომარეობა უკავია როგორც ჩანს, პრობლემების წარმატებით გადაჭრის საშუალებას იძლევა; შემდეგ მოდიოდნენ „Y“, „ჯაჭვი“ და „წრე“. მან აღნიშნა, რომ ჯგუფის წევრები, რომლებიც კომუნიკაციის სისტემის ცენტრში იმყოფებოდნენ უფრო კმაყოფილნი იყვნენ ჯგუფისა, ვიდრე განაპირას მყოფნი. მან დაასკვნა, რომ „ჩვენს საზოგადოებაში, სადაც ნათლადაა გამოხატული დამოუკიდებლობის, სოციალური აღიარებისა და წარმატებებისაკენ სწრაფვა, ალბათ, დამოუკიდებლობის შემზღვეველი პოზიციის დაკავება არ ღირს“ (მხედველობაშია პერიფერიული მდგომარეობა).

სქემა;



ამ სქემებზე მოცემულია ჰაროლდ ლევიტის მიერ ჩატარებული კლასიკური ექსპერიმენტის

შედეგად გამოვლენილი ჯგუფური კომუნიკაციის ოთხი ხერხი; ასოები აღნიშნავენ ჯგუფების წევრებს, ხოლო ხაზები კომუნიკაციების მიმართულებას. აღმოჩენილ იქნა, რომ,

„ბორბალი“ არის ყველაზე ეფექტური საშუალება, რადგან მთელი კომუნიკაცია გადის ცენტრს. „ჯაჭვისა“ და „Y“-ს შემთხვევაში ცენტრი ჯერ კიდევ ასრულებს ძირითად როლს ინფორმაციის გადაცემაში, მაგრამ არსებობენ კომუნიკაციის სხვა შესაძლებლობები. „წრე“, სადაც არავის არ უკავია ცენტრალური მდგომარეობა, კომუნიკაციის ყველაზე არაეფექტური საშუალებაა.



## ჯგუფის დინამიკა.

ჯგუფში ადგილი აქვს მოვლენებსა და დინამიურ პროცესებს, რომლებიც გარკვეული თანმიმდევრობით პერიოდულად მეორდება. მათ განეკუთვნება ზეწოლა ჯგუფის წევრებზე, რაც მათ კონფორმიზმს, ჯგუფიდან გარიცხვას და როლების ფორმირებას ხელს უწყობს.

კონფორმიზმის ხელშემწობი ზეწოლა. რა დოზით ემორჩილებიან ადამიანები ჯგუფის ზეწოლას? 40-იან წლებში სოლომონ ეშმა (1951) რიგი მნიშვნელოვანი ექსპერიმენტები, სურდა გამოეკვლია ჯგუფის ზეწოლა მის წევრებზე. პირველ ექსპერიმენტში მისი რვა ასისტენტი მონაწილეობდა (რომლებიც წინასწარ იცნობდნენ ექსპერიმენტის ხასიათს და მათ მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს) და ერთი საცდელი, რომელმაც არ იცოდა რა ხდებოდა. ყველას მიეცა დავალება შეედარებინათ ერთი მონაკვეთი სხვა სამ სხვადასხვა სიგრძის მონაკვეთთან. თითოეულ წევრს უნდა ეთქვა მთელი ჯგუფისათვის თუ სამიდან რომელი შეესაბამებოდა სიგრძით პირველს. ექსპერიმენტატორის ასისტენტებს ჩაუტარეს ინსტრუქცია, მათ უნდა გაეცათ არასწორი პასუხი. ამგვარად საცდელი პირი, რომელსაც წინასწარ არავითარი ინფორმაცია არ ქონდა, მოულოდნელად აღმოჩნდა უმცირესობაში, იმ ადამიანებთან, რომლებიც მას არ ეთანხმებოდნენ.

წინა გამოკვლევებში აქცენტი კეთდებოდა იმაზე, თუ როგორ ემორჩილებიან ადამიანები ჯგუფის მოთხოვნებს. მაგრამ ახლა გაკვირვებულმა ეშმა აღმოაჩინა, რომ საცდელ პირთა ორმა მესამედმა უარი განაცხადა საკუთარი თვალსაზრისის შეცვლაზე, თუმცა მათზე ზეწოლას ქონდა ადგილი. ეშმა აღწერა ასეთი დისიდენტების ქცევის მრავალი მაგალითი. ზოგიერთი საცდელი პირი იცავდა თავის თვალსაზრისს, მაშინ, როდესაც დანარჩენები შეცბუნდნენ და დააკლდათ დამაჯერებლობა. თუმცა საცდელთა ერთმა მესამედმა მთლიანა შეიცვალა აზრი (მიუხედავად მისი სისწორისა), რათა უმრავლესობასთან წინააღმდეგობაში არ მოსულიყო.

მზად არის თუ არა საცდელი პირი დაიცვას თავისი თვალსაზრისი თუ ასე იქცევიან ჯგუფის დანარჩენი წევრები? ეშმა გამოიკვლია ეს საკითხიც და ამისათვის ყოველ ჯგუფში ჩართო დამატებით ორი საცდელი პირი. მან აღმოაჩინა, რომ თუ ადამიანი გრძნობს თუნდაც მინიმალურ მხარდაჭერას, ჯგუფის მხრიდან ზეწოლა შესამჩნევად კლებულობს.

შემდეგი ექსპერიმენტი ეშმა ისე მოაწყო, რომ პარტნიორი, რომელიც მხარს უჭერდა დისიდენტს, მოულოდნელად უარს ამბობდა თავის პოზიციაზე და უერთდებოდა უმრავლესობას. საცდელი პირი, რომელმაც არაფერი არ იცოდა ექსპერიმენტის შესახებ, კვლავ აღმოჩნდა სრულ მარტოობაში. ასეთ შემთხვევებში გრძელდება უმრავლესობის ბატონობა ინდივიდზე. შემდგომში ეში ვარიირებდა უმრავლესობის რაოდენობით: ჯგუფი, რომელიც არ იზიარებდა საცდელი პირის აზრს შედგებოდა 2-დან 16 - ადამიანამდე. მან



აღმოაჩინა, რომ ოდნავი უმრავლესობაც კი (მაგალითად 3 ადამიანი) კონფორმიზმის ეფექტს სტიმულს აძლევდა.

ჯგუფიდან გარიცხვა. ეშის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტების დროს ზოგიერთ საცდელ პირს, თუნდაც დროებით რიცხავდნენ ჯგუფიდან იმის გამო, რომ ამოცანის მათი (სწორი) გადაწყვეტა უმრავლესობის (არასწორ) გადაწყვეტასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. როგორი ეფექტი ქონდა ასეთ გარიცხვას მათი პიროვნული ღირსების გრძნობებზე? ამ კითხვაზე პასუხისათვის იუდიტ უილკოკსმა და ჯონ მიჩელმა (1979) ჩატარეს ექსპერიმენტი, რომლის მსვლელობაში საცდელ პირს მისცეს შემდეგი ინსტრუქცია: „თქვენ ერთ-ერთი იმ ექვსთაგანი ხართ, რომლებიც სიცოცხლისათვის საშიშ სიტუაციაში მოხვდნენ. თქვენ უნდა დაიცვათ თქვენი უფლებები, თქვენი დასკვნები, სიცოცხლე და ასევე გადაწყვიტოთ, თუ ვის არ ექნება უფლება დარჩეს ჯგუფში. სიტუაცია ასეთია: საოკეანო ლაინერი შეეჯახა აისბერგს და ჩაიძირა არქტიკის წყლებში. ექვსმა, მათ შორის თქვენც, მოახერხეთ პატარა ნავზე ასვლა, მაგრამ საკვები მხოლოდ ხუთ ადამიანს ეყოფა რვა დღის განმავლობაში; ამ დროისათვის ნავი მიადგება უახლოეს მატერიკს. მთელმა ჯგუფმა უნდა გადაწყვიტოს თუ ვინ დარჩება ნავში. 30 წუთის შემდეგ ფარული კენჭისყრით უნდა მიიღოთ გადაწყვეტილება, თუ ვინ უნდა გაქრეს ნავიდან“. ხმის დათვლისა და ყოველ წევრთან საუბრის შემდეგ განაცხადეს თითქოსდა მიღებული „გადაწყვეტილება“. ზოგიერთ საცდელ პირს უთხრეს, რომ მათ შეუძლიათ დარჩნენ ნავში, ე.ი. ისინი „მიიღეს“. სხვებს („გარიცხულებს“) უბრძანეს დაეტოვებინათ ნავი. შემდეგ ყველა საცდელ პირს ჩამოართვეს ინტერვიუ, მათ გამოთქვეს თავიანთი გრძნობები – წყენაც და სიხარულიც. და ბოლოს, მკვლევარმა აუხსნა, რომ ექსპერიმენტის „შედეგი“ განისაზღვრა შემთხვევითი შერჩევის მეთოდით და სინამდვილეში არ ასახავს ჯგუფის პოზიციას.

უილკოკი და მიჩელი ჯგუფიდან გარიცხულებში აღნიშნავენ საკუთარი ღირსების შელახვის გრძნობას. მიღებულთა შორის თვითშეფასების პოზიცია არ იცვლება. (შენიშნეს, რომ გარიცხულთა ხელმოწერაც კი დაპატარავდა. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ეს შეიძლება გამოეწვია საკუთარი თავის მიმართ პატივისცემის შემცირებამ).

### მეთოდები და გაზომვები

ექსპერიმენტების დასაშვები ზღვარი. უილკოკისა და მიჩელის ექსპერიმენტებთან დაკავშირებით, როდესაც ჯგუფს თავაზობენ ერთ-ერთის გარიცხვას, თავს იჩენს ზოგიერთი პრობლემები, რომლებიც ეხებიან ზოგადად ექსპერიმენტებს და ქმნის გარკვეულ უხერხულობას. ერთი მხრივ, ალბათ, ძალიან ძნელია ექსპერიმენტში მონაწილე ადამიანის ხასიათის რაღაც თვისების გაანალიზება – მოცემულ შემთხვევაში საკუთარი ღირსების





შეგრძნების ანალიზი. აუცილებელია რომ ხელმოწერის დაპატარავება საკუთარი თავის პატივისცემის დადაბლებას ნიშნავდეს? ზოგიერთები მართლაც ამ მიზეზით ამცირებენ ხელმოწერის სიდიდეს. მაგრამ სხვებმა შეიძლება გაადიდონ, როგორც დაკარგული ღირსების კომპენსირება. უილკოკისა და მიჩელის ექსპერიმენტში ხელმოწერის შემცირება არ იყო საკუთარის თავის პატივისცემის დონის მაჩვენებელი; საცდელ პირებს სხვა კითხვებიც დაესვათ ამ ცვლადის გასაანალიზებლად. მაგრამ არ არის გამორიცხული ალბათობა იმისა, რომ კითხვები, რომლებზედაც პასუხობდნენ საცდელი პირები, არის კი საიმედო კრიტერიუმი პიროვნების ხასიათის თვისებების გამოსავლენად.

ექსპერიმენტები გარკვეული დოზით გვეხმარებიან დავადგინოთ თუ როგორ იქცევიან ინდივიდები და მთელი ჯგუფები ლაბორატორიულ პირობებში. მაგრამ შეიძლება კი მათზე დაყრდნობით ვიმსჯელოთ თუ როგორ მოიქცევიან ისინი ლაბორატორიის გარეთ? ამ ექსპერიმენტის ჭეშმარიტების წინააღმდეგ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ უილკოკისა და მიჩელის ექსპერიმენტში საცდელმა პირებმა იცოდნენ, რომ არ იმყოფებიან მაშველთა ნავში. მათ შეეძლოთ მიეღოთ მონაწილეობა ექსპერიმენტში ისე, რომ არ ეგრძნოთ თავი ექსპერიმენტის მონაწილედ. მართლაც რომ ეს პრობლემა ეხება ყველა ჯგუფს, რომლებიც სპეციალურად ექსპერიმენტისათვის იქმნება. ექსპერიმენტში მონაწილეთა უმრავლესობა უბრალოდ ასრულებს დავალებას, რასაც მათგან მოითხოვენ. მათ იციან, რომ ექსპერიმენტი დამთავრდება დანიშნულ დროს, ჩვეულებრივ რამდენიმე საათის შემდეგ. მეტიც, ლაბორატორიული ჯგუფები ასაკით, განათლებით და სოციალური მდგომარეობით ჩვეულებრივ ერთგვაროვანი ჯგუფებია. ექსპერიმენტული ჯგუფები ხშირად იქმნებიან, საზოგადოების საშუალო ფენებიდან აყვანილი 18-20 წლის ახალგაზრდებისაგან. ასეთი ჯგუფების გამოკვლევის შედეგად მიღებული დასკვნების გავრცელება უფროსი ასაკისა და დაბალი ფენებიდან გამოსულ ჯგუფებზე ალბათ არ შეიძლება.

ამ ექსპერიმენტებთან დაკავშირებით , აგრეთვე, ეთიკურმა პრობლემებმა იჩინა თავი. შეიძლება კი შეიჭრა ადამიანის პირად ცხოვრებაში და იკვლია მისი გრძნობები, თუნდაც ლაბორატორიულ პირობებში? ბოლოს და ბოლოს მარტო იმის თქმამ რომ ის განწირეს დასაღუპავად, როგორ იმოქმედებდა ამ ადამიანზე, მით უმეტეს თუ მას შესუსტებული დამცავი რეაქცია ექნებოდა? ექსპერიმენტის ბოლოს, რა თქნა უნდა, საცდელ პირებს შეატყობინებდნენ, რომ მათ არ რიცხავდნენ ჯგუფიდან. მაგრამ მას ხომ აწყენინეს და არასასიამოვნო შეგრძნებები უკვე ქონდა.

ეს საკითხები გვაფრთხილებენ, რომ ადამიანებით მანიპულირება მეცნიერების საჭიროებისათვის მის პირად ცხოვრებაში შეჭრასთან, მის პიროვნულ შეურაცხყოფასთან და საკუთარი თავის პატივისცემის შერყევასთანაა დაკავშირებული. აღნიშნული პრობლემის



სერიოზულობაზე სხვადასხვა შეხედულებებია, მაგრამ, ერთი რამ ცხადია, ალბათ ეს კითხვა დიდხანს შეაწუხებს მკვლევარებს.

შრომის დანაწილება. რობერტ ბეილსმა და ფილიპ სლეიტერმა (1955) ჩაატარეს კლასიკური ექსპერიმენტების სერია, ამისათვის ჰარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტი ახალგაზრდობისაგან შექმნეს ჯგუფები. ჯგუფებს უნდა ჩაეტარებინათ თათბირები, ყოველ შეკრებაზე ყველა წევრი უნდა ყოფილიყო ხელმძღვანელი, თათბირების მიზანი იყო საერთო გადაწყვეტილების მიღება. საკითხების განხილვა გრძელდებოდა 40-40 წუთი, შემდეგ ჯგუფის წევრებს დაესვათ შემდეგი კითხვები:

1). ვინ წამოაყენა ყველაზე საინტერესო წინადადება პრობლემის გადასაჭრელად? დაასახელეთ ეს პირები თანმიმდევრულად, შემოტანილი წინადადების ღირებულების შესაბამისად, საკუთარი თავის ჩათვლით.

2). ვინ უკეთ ხელმძღვანელობდა დისკუსიას და განაპირობა მისი ეფექტურობა?

დაასახელეთ ეს პირები თანმიმდევრულად, საკუთარი თავის ჩათვლით.

3). როგორი სიმპათიით განწყვეთ ჯგუფის თითოეული წევრის მიმართ? შეაფასეთ ყოველი მათგანი 0-დან - 7მდე შკალით, სადაც 0 -ნიშნავს, რომ: „მე მისდამი ვარ ნეიტრალური“, ხოლო 7 ნიშნავს, რომ: „მე ის ძალიან მომწონს“.

4). ბოლო კრების შემდეგ შეაჯამეთ ყველა სესიების შედეგები და განსაზღვრეთ, დისკუსიებში ჯგუფის რომელმა წევრმა, თქვენი აზრით, გამოავლინა საკუთარი ლიდერობა? როგორ აფასებთ ჯგუფის სხვა წევრებს, საკუთარი თავის ჩათვლით?

კრების მსვლელობაში მკვლევარები აკვირდებოდნენ და აფიქსირებდნენ ჯგუფის ყოველი წევრის ნეგატიურ და პოზიტიურ რეაქციას. ისინი ასევე აფიქსირებდნენ ჯგუფის ყოველი წევრის აქტიურობას, როგორ სვამდნენ კითხვებს, შექონდათ წინადადებები ჯგუფის წინაშე მდგარი პრობლემის გადასაჭრელად.

კრების მსვლელობაში გამოიკვეთა გამოგნებელი სურათი. დამკვირვებლებმა და ჯგუფის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს ორი ტიპის ლიდერის გამოჩენა. ერთი იყო ლიდერი ინსტრუმენტალური თვალსაზრისით. ეს ადამიანი ავლენდა აქტიურობას ჯგუფის ორიენტირების, აზრთა გაცვლა-გამოცვლის და წინადადებათა შეტანის თვალსაზრისით. მეორე ტიპი იყო ადამიანი, რომელსაც ჯგუფი მაღალ შეფასებას აძლევდა. ბეილსმა და სლეიტერმა ამ ორ ტიპს უწოდეს, ერთს „იდეური სულისჩამდგმელი“ და ჯგუფში

„ყველაზე დაფასებული“, ან ინსტრუმენტალური და ექსპრესიული ლიდერი.



აღმოჩნდა და მკვლევარებს ეს გაუკვირდათ, რომ არცერთ ჯგუფში არ იყო ადამიანი, რომელიც ორივე ტიპის ლიდერის როლს ერთდროულად შეასრულებდა, ანუ იქნებოდა იდეური ლიდერიც და ყველაზე დაფასებულიც. მეტიც ეს ორი ლიდერი ცდილობდა ერთმანეთთან უფრო ეთანამშრომლათ, ვიდრე ჯგუფის სხვა წევრებთან. თანაც ურთიერთობა ურთიერთმხარდაჭერასა და არა ურთიერთკონკურენციას ეფუძნება. ერთი ლიდერი ჯგუფს, მეორე ემოციურ მოთხოვნილებებს ხელმძღვანელობს. მოცემული ფუნქციების შესრულებისას ორი ლიდერი თავისდაუნებურად გარკვეულ კოალიციას ქმნის.

მარგარეტ ფილიპსი (1965) შეეცადა განეზოგადებინა ბეილსისა და სლეიტერის გამოკვლევების შედეგები. ის თვლის, რომ ჯგუფის ცხოვრების ინსტრუმენტალური და ექსპრესიული ასპექტები დიდი გავლენას ახდენენ ჯგუფის წარმატებაზე. ინსტრუმენტალური ასპექტი დაკავშირებულია მიზნის მიღწევისაკენ სწრაფვასთან, ამოცანის გადაჭრასთან; ექსპრესიული ასპექტი განსაზღვრავს ჯგუფის ემოციურ დაკმაყოფილებას. ფილიპსი ასევე ვარაუდობდა, რომ ცენტრალურ როლს ინსტრუმენტალურ ასპექტში თამაშობდა ე.წ. „მამა-ლიდერი“, მაშინ, როდესაც ექსპრესიული ასპექტი თავმოყრილია, „დედა-ლიდერის“ ირგვლივ. (უნდა აღინიშნოს, რომ ყოველი ლიდერი შეიძლება იყოს ქალიც და მამაკაციც: ბეილსისა და სლეიტერის ექსპერიმენტებში ყველა ლიდერი მამაკაცები იყვნენ, რადგან აქ ქალები საერთოდ არ მონაწილეობდნენ). ეს გამოკვლევა იმას მოწმობს, რომ ადამიანური ცხოვრების ინსტრუმენტალური და ექსპრესიული ასპექტები ბაზისურია და ყველა ჯგუფი უნდა ორი ლიდერის აუცილებლობას დაეთანხმოს.

## ბიუროკრატია

მიზნობრივ ჯგუფებზე მსჯელობისას უნდა განვიხილოთ აგრეთვე, მოვლენა რომელიც წარმოიშვა მათში და დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საზოგადოებაში. ამ სიტყვის სოციოლოგიური მნიშვნელობით ბიუროკრატია არის გარკვეული რაციონალიზებული და დეპერსონალიზებული მართვისა და ხელმძღვანელობის სისტემა, რომელიც ინსტიტუტების, ადმინისტრაციის, საწარმოებისა და სხვა მიზნობრივი ჯგუფების საქმიანობის მაქსიმალურ სიზუსტეს და ეფექტურობას უზრუნველყოფს. მარტივად თუ ვიტყვით, ბიუროკრატია საკითხების ზუსტად გადაწყვეტის მეთოდია. თავისი თანამედროვე სახით იგი თანამედროვე სამრეწველო საწარმოების და სახელმწიფოებრივი ადმინისტრაციის განვითარებასთან ერთად განვითარდა, როგორც გონებრივი შრომისადმი და, უწინარეს ყოვლისა, დიდი სოციალური ჯგუფების ხელმძღვანელობისადმი რაციონალიზაციის მეთოდის მიყენება. ეს არის ადმინისტრაციის მუშაობის (მართვისა და ხელმძღვანელობის) მეთოდი, რომელიც ეფუძნება იმას, რომ ფუნქციები მათ შესრულებაში დასპეციალებულ პირებს ეკისრებათ; სამსახურებრივი



დამოკიდებულების სისტემის შექმნას, რომელშიც მუშაკი ემორჩილება მხოლოდ ერთ უფროსს და მისგან იღებს დირექტივებს მისი სამუშაოს შესრულების თაობაზე; მუშაკი ასრულებს თავის ამოცანებს რაციონალიზებული შრომის დანაწილების ფარგლებში, მისი შრომა მისი პირადი საქმეებისგან მთლიანად განცალკევებულია; მუშაკი შრომობს და საკითხებს მხოლოდ თავისი კომპეტენციისა და კვალიფიკაციის საზღვრებში წყვეტს; მუშაობა დაწესებული სამსახურებრივი იერარქიის ფარგლებში მიმდინარეობს და მუდმივი კონტროლი ეწევა; მუშაობა მუშაკებს, უფროსებს და ხელქვეითებს შორის კერძო და სამსახურებრივის გარეშე კავშირებზე არ არის დამოკიდებული. მუშაკის დაწინაურება და კარიერა დამოკიდებულია შესრულებული მუშაობის ხარისხსა და კვალიფიკაციის დონეზე.

ბიუროკრატია შრომის ორგანიზაციის სისტემაა, რომლის მიზანია მთლიანად ინსტიტუტებისა და მიზნობრივი ჯგუფების განსაკუთრებით ზუსტი და ეფექტიანი ფუნქციონირება უზრუნველყოს. თუ ჩამოთვლილი პირობები შესრულებულია, მაშინ მუშაობა ხორციელდება მხოლოდ გაერთიანების მიზნების რეალიზაციისათვის, წარიმართება მისი ინტერესებით, მუდმივი კონტროლი ეწევა – ერთი სიტყვით, ადმინისტრაცია ან ინსტიტუტი მოქმედებს როგორც უპიროვნო, გამართული მანქანა. მაგრამ თუ ეს პირობები არ არის შესრულებული, მაშინ ჩნდება ბიუროკრატიული აპარატის გადაგვარების მოვლენა. იგი ვლინდება მაშინ, როცა ბიუროკრატიული აპარატი იწყებს მანქანათ გადაქცევას, რომელიც ფუნქციონირებს არა მარტო შინაარსობრივი საკითხების გადასაწყვეტად, რომლისთვისაც იგი შეიქმნა, არამედ თავისთავისთვის. სხვანაირად რომ ვთქვათ, ნებისმიერი ბიუროკრატიული აპარატი მოითხოვს გარკვეულ დამხმარე ფუნქციებს, რაც ქმნის ის მისი ფუნქციონირების შესაძლებლობას, აგრეთვე დანაწესებს, რომლებიც განსაზღვრავენ იმას, თუ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხები. თუ მუშაობის ეს დამხმარე ფუნქციები და მარეგულირებელი დანაწესები აძნელებენ არსებითი საკითხების გადაწყვეტას, მაშინ არსებითი მიზნებისაგან აპარატის ემანსიპაციის, და მისი გადაგვარების პროცესი იწყება. ასე ჩნდება “ბიუროკრატიის” როგორც მანქანის მოვლენა, რომელიც ფუჭად, მხოლოდ თავისთვის მუშაობს.

„ორგანიზაციული“ საზოგადოების თეორეტიკოსები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მიზნობრივი ჯგუფების წარმოშობას აუცილებლობით მოსდევს ბიუროკრატიის განვითარება და დიდი ორგანიზაციების გაჩენა. ზოგიერთი სოციოლოგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ თითოეულ მიზნობრივ ჯგუფში მოქმედებს ორგანიზაციული იმპერატივი რომელიც იმას ემყარება, რომ თითოეულმა ორგანიზაციამ ჯერ საკუთარი მოთხოვნილებანი უნდა დაკმაყოფილოს, ვიდრე იმ არსებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას დაიწყებს, რომლებისთვისაც ის შეიქმნა. მაგალითად, ვიდრე თხოვნების შემდგენელი ბიურო კლიენტების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას დაიწყებს, იგი თვითონ უნდა მოეწყოს”, ესე იგი ხელმძღვანელობის, შრომის



დანაწილების, მატერიალური მომარაგების და სხვა საკუთარი სისტემა შექმნას. ზოგიერთი სოციოლოგი ამტკიცებს აგრეთვე, რომ თითოეული ორგანიზაციასა და მიზნობრივ ჯგუფში ან მცირე მიზნობრივ ჯგუფებში ოთხი ძირითადი ტენდენცია მოქმედებს: 1) ერთიანობისა და კონსოლიდაციის ტენდენცია; 2) ცენტრალიზაციისა და კოორდინაციის ტენდენცია; 3) ცალკეულ საქმეთა ხელმძღვანელობისათვის სპეციალისტთა მოზიდვის ტენდენცია; 4) ბოლოს და ბოლოს იქმნება სპეციალიზებული ცენტრალური ხელმძღვანელობა. ორგანიზაციული იმპერატივი ხელს უწყობს ბიუროკრატის შექმნას ყველა მიზნობრივ ჯგუფში, ხოლო ამ ოთხ ტენდენციას მოსდევს დიდი ორგანიზაციების შექმნა. ამ ოთხი ტენდენციის მოქმედება ამერიკის შეერთებული შტატების რელიგიურ ორგანიზაციებში თვალნათლივ რობერტ ლიმ დაგვანახა.

### **განსაკუთრებული კულტურის საფუძველზე გამოყოფილი ერთობები**

ამ ერთობებს ზოგჯერ ეთნიკურსაც უწოდებენ. ჩვენ მათ მივაკუთნებთ ტომებს, ეროვნებებს, ერებს. ევოლუციონისტებმა შექმნეს ეთნიკური ერთობების განვითარების თეორია. რომლის თანახმად მათი საწყისი იყო ოჯახი; უფრო ფართო კავშირი იყო გვარი, რომელიც რამდენიმე ან ბევრ ოჯახს ითვლიდა; გვარები ერთიანდებოდნენ ტოტემისტურ კლანებად, რომლებსაც აკავშირებდა არა სისხლით ნათესაობა, არამედ იმის რწმენა აკავშირებდა, რომ საერთო წინაპარი ჰყავდათ; რამდენიმე კლანი ერთიანდებოდა და შეადგენდა ტომს. ტომები შემდგომი კულტურული განვითარების მსვლელობაში ქმნიდნენ ეროვნებებს, ისინი კი განვითარების უმაღლეს სტადიაზე იქცეოდნენ ერებად. ეს თეორია მრავალი მსჯელობისა და გარდაქმნის საგანი გახდა. აქ ჩვენ გვინტერესებს მხოლოდ ერთობათა განსაკუთრებული ტიპები და ამიტომ მათი განვითარებისა და გენეტიკური კავშირების პრობლემებს არ ჩავუღრმავდებით.

კლანები ის ჯგუფია, რომლებიც სხვადასხვა სახით მრავალ საზოგადოებაში არსებობენ. ევროპაში ყველაზე კარგად ცნობილია შოტლანდიური კლანები – პოლიტიკურად ინსტიტუციონალიზებული გვაროვნული კავშირი, რომლებიც პოლიტიკურ როლს XVIII საუკუნის შუა ხანებამდე ასრულებენ. კლანებისაკენ ყურადღების მიპყრობა ლ. მორგანის დამსახურება იყო, რომელმაც აღწერა კლანების რომის საზოგადოებაში, ხაზგასმით აღნიშნა და დოკუმენტურად დაასაბუთა მათი არსებობა სხვა საზოგადოებებშიც, საფუძვლიანად გამოიკვლია ჩრდილოეთ ამერიკის ტომების კლანები. ერთგვარი გამარტივებით კლანების შეიძლება გამოვყოთ როგორც პოლიტიკური ინსტიტუტების ჩანასახოვანი გვარეობითი კავშირი, რომლებსაც ოჯახური კავშირების ხასიათი აქვს რელიგიურ საფუძველზე. ტოტემიზმი - ეს არის რელიგია, მისი საფუძველია ცხოველთა ან მცენარეთა კულტი, რომლებიც კლანების პირველ წინაპრებად ითვლებიან. მის წევრებს სწამთ, რომ ამ ცხოველების ან მცენარეების სისხლით ნათესავეები არიან. კლანის წევრები თავს ერთმანეთის სისხლით ნათესავეებად რაცხავენ. კლანებთან დაკავშირებულია აგრეთვე



ეკზო - და ენდოგამიის მოვლენები, ესე იგი ქორწინებათა აკრძალვა კლანის შიგნით ან გარეთ. კლანები პირველყოფის საზოგადოებათ ჯგუფებია, მაგრამ ზოგიერთი ფორმით მათ შეუძლიათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ თანამედროვე საზოგადოებებში, მაგალითად, იაპონიასა და ჩინეთში.

ტომი სოციალური ორგანიზაციის უფრო მაღალი ფორმაა, რომელიც მოიცავს გვარებისა და კლანების დიდი რაოდენობას. უკვე ტოტემურ კლანს შეიძლება ვუწოდოთ კულტურულ თავისებურებათა საფუძველზე გამოყოფილი ერთობა, ვინაიდან მის გამოყოფას საფუძვლად რელიგიური სარწმუნოებანი უდევს. ტომების განკერძოების საფუძვლია, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი ენა ან დიალექტი, საკუთარი წეს-ჩვეულებანი და დამახასიათებელი

სახელები, რომლებიც მათი განკერძოებულობის გრძნობებს გამოხატავენ. ტომს აქვს უკვე შინაგანი ფორმალური ორგანიზაციის კონტური, ჰყავს ბელადი ან ბელადები საბჭო, ტომის საბჭოები, რომლებიც წყვეტენ მთელი ტომების მნიშვნელოვან საკითხებს, აწყობენ ზოგიერთ ერთობლივ მოქმედებას, მაგალითად, ნადირობას, სამხედრო ლაშქრობებს, რელიგიურ წეს-ჩვეულებებს და ა.შ. ტომებიც, აგრეთვე, მეტ - ნაკლებად დაკავშირებული არიან გარკვეულ ტერიტორიასთან; მაშინაც თუ ისინი ეწევიან მომთაბარულ ცხოვრებას, მათი მომთაბარეობის სფერო შეზღუდულია ტერიტორიით, რომელსაც ისინი იცავენსხვა მომთაბარეთა შემოჭრისაგან. გვარებისა და კლანებისაგან ან სხვა სახეობათაგან შედგენილი ზოგიერთი ტომი წელიწადის გარკვეული დროის მანძილზე ცალკე ცხოვრობს, მაგრამ წელიწადში ერთხელ ან უფრო ხშირადაც იკრიბება საერთო ცერემონიისათვის (მაგალითად, მზის ცეკვა, პრერიის ინდოელებთან ან დიდი ერთობლივი ნადირობა ბიზონებზე). ძალზე ძნელია პირველყოფილი ტომების რაოდენობის დადგენა; მაგრამ ზოგიერთი ცნობილი ტომი ათეულ ათასობით წევრს ითვლის. ტომებშიც უკვე ყალიბდება, აგრეთვე, სამეურნეო წყობის კონტურები, განსაკუთრებით მწყემსობასა და მიწათმოქმედებაზე გადასვლისას.

ხალხი, ტერმინი `ხალხი` მრავალმნიშვნელოვანია და სალაპარაკო ენაში ხალხს ჩვეულებრივ უწოდებენ სოფლის მცხოვრებლებს (აქედან წარმოდგება, მაგალითად, სახელწოდება „სახალხო პარტია“, რომელიც გლეხებს აერთიანებს). პოლიტიკური დოქტრინების ენაზე ხალხს უწოდებენ, აგრეთვე ქალაქისა და სოფლის მშრომელებს (აქედან წარმოდგება სახალხო დემოკრატია, რომელიც აღნიშნავს ისეთ წყობილებას, სადაც ხელისუფლება მშრომელებს ეკუთვნით). სოციალურ მეცნიერებათა, და, უწინარეს ყოვლისა, ეთნოგრაფიის ენაზე, ხალხში იგულისხმება ის ერთობები, რომლებსაც საზოგადოების განვითარების კიბეზე ტომსა და ერის შორის უკავიათ ადგილი. ისინი უკვე მჭიდროდ არიან დაკავშირებული გარკვეულ ტერიტორიასთან, აქვთ საკუთარი ენა და ნათლად ფორმირებული და განვითარებული კულტურა, პოლიტიკური წყობილება და



ხელისუფლების ჩამოყალიბებული სისტემა. მაგრამ ხალხები უმთავრესად განსხვავდებიან თავიანთი კულტურების საფუძველზე. ამ კულტურების აღსანიშნავად უილიამ ტომსმა 1846 წელს შექმნა ტერმინი „ფოლკლორი“, რომელიც მოიცავს მითებს, ლეგენდებს, სიმღერებს, ცეკვებს, მაგიურ ფორმულებს, ცრურწმენებს, ადათ-წესებს და ა.შ., - ხალხური, ესე იგი ცალკეული ხალხებისათვის დამახასიათებელი. მაგრამ ხალხი განსხვავდება არა მარტო ფოლკლორით, მას აქვს, აგრეთვე, საკუთარი მატერიალური კულტურა - სამუშაო იარაღები, საცხოვრებლები, ტანსაცმელი, - მის საფუძველზე კი შეიქმნა საზოგადოებრივი ურთიერთობანი. მატერიალური კულტურის ამ ელემენტებს, მათ კავშირს ფოლკლორთან და სოციალურ ცხოვრებასთან იკვლევს ეთნოგრაფია. როგორც ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, ტერმინი „ხალხი“ აღნიშნავს ერთობების ძალზე განსხვავებულ ტიპებს და სოციოლოგიის სახელმძღვანელოებში უფრო ხშირად ლაპარაკია მათ ფარგლებში არსებული მეტად გამოკვეთილად მოხაზულ ჯგუფებზე.

ერი. სამეცნიერო და პოლიტიკურ ლიტერატურაში ტერმინი „ერი“ ორი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება. 1) დასავლეთევროპული ქვეყნების, განსაკუთრებით ინგლისურ ლიტერატურაში ჭარბობს შეხედულება, რომ ერი არის სახელმწიფოთა მოქალაქეთა

ერთობლიობა, მაშასადამე, ეს არის ხალხი, რომელმაც კულტურის მაღალ დონეს და პოლიტიკური ორგანიზაციის მაღალ ხარისხს მიაღწია , ეს არის ერთობა, რომელსაც აქვს ენა და კულტურა, მაგრამ გაერთიანებულია სახელმწიფო ორგანიზაციის ძირითადი კავშირით; 2) ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ლიტერატურაში ჭარბობს შეხედულება, რომ ერი არის საერთო კულტურით ფორმირებული ერთობა, რომელმაც გაუსწრო ხალხური კულტურის (ფოლკლორის) დონეს, შექმნა საკუთარი ლიტერატურა, ხელოვნება (სიმბოლური კულტურა) და, ამას გარდა, გაერთიანებულია ისტორიის ტრადიციით და საერთო წარმოშობით. ყველაზე ხშირად არის გამოყოფის საფუძველად მიჩნეული ენა, საერთო ტერიტორიაზე ცხოვრება, ეკონომიკური წყობა (სახალხო მეურნეობა), ეროვნული ხასიათი (ფსიქიური წყობა), საკუთარი კულტურა. ზოგიერთი ავტორი ამას უმატებს კიდევ პოლიტიკურ ინსტიტუტებს, ხოლო ზოგჯერ რელიგიასაც. „ერი - ეს არის ერთობა, რომელიც წარმოიშვა ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და ფსიქიკური წყობის ბაზაზე, რომელიც კულტურის ერთობით ვლინდება“.

მაგრამ აღნიშნავენ, რომ ერები შეიძლება არსებობდნენ მაშინაც, როდესაც მათ არ გააჩნიათ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, როგორც, მაგალითად, პოლონეთი დანაწილების პერიოდში. მაგრამ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკურ ფუნქციებს მაშინ ასრულებდნენ დამპყრობელი სახელმწიფოების ინსტიტუტები, ხოლო პოლონელები ინარჩუნებდნენ საკუთარი პოლიტიკური ინსტიტუტების ერთგვარ სუროგატებს ან შემცვლელებს, იმ გაერთიანებებისა და ორგანიზაციების სახით, რომლებიც ახორციელებენ არსებით პოლიტიკურ ამოცანებს.



მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რომ არსებობს მრავალეროვანი სახელმწიფოც, მაგრამ ისინი ქმნიან დამახასიათებელ ეროვნულ ტიპს, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც ერი იდენტიფიცირებულია სახელმწიფოსთან და ტერმინი „ნაცია“ აქ იხმარება როგორც სახელმწიფოს, ისე მოქალაქეების ერთობლიობის აღსანიშნავად.

ტერმინი „ეროვნება“ იხმარება, აგრეთვე, ორი მნიშვნელობით: 1) როგორც ერის კუთვნილების აღმნიშვნელი (რუბრიკა პასპორტში აღნიშნავს, საკუთრივ, ერისადმი კუთვნილებას); 2) როგორც გარკვეული ეტაპის აღმნიშვნელი ხალხის განვითარებაში, რომელიც უფრო მაღალია ხალხებისათვის დამახასიათებელ მდგომარეობაზე, მაგრამ ჯერ კიდევ არ მიუღწევია სავსებით ჩამოყალიბებული ერის საფეხურისათვის. ეროვნულობა ამ მეორე მნიშვნელობით იმ ადამიანთა ერთობაა, რომლებმაც უკვე შექმნეს საკუთარი კულტურა, მაგრამ ჯერ კიდევ არ გააჩნიათ დამოუკიდებელი პოლიტიკური არსებობის ტრადიციები. ყოველ შემთხვევაში, საკუთარი სახელმწიფოს შექმნის, მისი განმტკიცებისა და განვითარების უნარი, ისევე, როგორც ზოგად საკაცობრიო კულტურაში წვლილის შეტანის უნარი, აღიარებულია ერის გამოცალკევების ძირითად ნიშნად. ტომების თანამედროვე ერებად გადაქცევის პროცესს ამჟამად ვხედავთ აფრიკაში, იმ კოლონიების მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, რომლებიც ადრინდელი ტომობრივი კავშირებისა და ტრადიციების საფუძველზე ქმნიან სახელმწიფოების ფარგლებში ახალ ერებს.

ერის მნიშვნელობა ემყარება იმას, რომ: ა) ერები ერთობის ძალიან მდგრადი ფორმაა, რომელიც ხშირად ათასეული წლების მანძილზე არსებობს; ბ) ისინი ქმნიან მდგრად კულტურულ მემკვიდრეობას; გ) აყალიბებენ ერთობებთან ინდივიდების იდენტიფიკაციის მძლავრ გრძნობასლ ერისადმი კუთვნილება, რომელიც ინდივიდს აძლევს ენას, მშობლიურ მიწასთან კავშირს, ადგილს ისტორიაში და ადგილს თაობათა ჯაჭვში, - ეს არის ინდივიდების თავითგამორკვევის საფუძველი; დ) ქმნის ერთობის წევრებს შორის სოლიდარობის ძალიან ძლიერ გრძნობას და ანტაგონიზმს უცხადებს უცხოთა მიმართ. ეს ნიშან-თვისებები იწვევენ იმას, რომ ერები ხდებიან მძლავრ საზოგადოებრივ მოძრაობათა და უკიდურეს იდეოლოგიათა წყარო. მათ შორის სოციოლოგების განსკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ნაციონალიზმი.

ნაციონალიზმი ჩვენ გვესმის როგორც: ა) განწყობათა განსაკუთრებული კომპლექსი; ბ) პოლიტიკური იდეების სისტემა; გ) საზოგადოებრივი მოძრაობა. ნაციონალიზმი შეიძლება მოგვევლინოს სხვადასხვა ფორმით, დაწყებული თავდადებული პატრიოტიზმით, ანუ საკუთარი ერისათვის მთლიანად მსხვერპლად შეწირვის მზადყოფნით, დამთავრებული მილიტარიზმსა და იმპერიალიზმთან მჭიდროდ დაკავშირებული უკიდურესი ექსტრემისტული ფორმით. ნაციონალიზმის ძირითადი იდეები: საკუთარი ერის ინდივიდუალობისა და თავისებურებების აღიარება უმაღლეს ღირებულებად,





საკუთარი ერის ღირებულების გაზვიადებულად ხაზგასმა და მისთვის განსაკუთრებული ისტორიული მისიის მიწერა (რჩეული ერი), არგუმენტაციის ირაციონალურობა, რომლითაც ასაბუთებენ თავისი ერის უპირატესობას და მისტიციზმისადმი მიდრეკილება, სხვა ერების შეუწყნარებლობა და მათი დამორჩილების სწრაფვა, ეკსკლუზივიზმი, ანუ სხვა ერებში შეურევლობის მისწრაფება. ხშირად ნაციონალიზმი კავშირს კრავს რასიზმთან, მიაჩნია, რომ რასიული უპირატესობის გამო რჩეული ერის დანიშნულებაა შეასრულოს განსაკუთრებული მისია. რასისტული დოქტრინით დასაბუთებული ნაციონალიზმის მაგალითია ჰიტლერიზმი. მაგრამ ნაციონალიზმი შეიძლება დაასაბუთონ რელიგიითაც, როცა რომელიმე ერი ამტკიცებს, რომ იგი ღმერთის რჩეულია განსაკუთრებული მისიის შესასრულებლად. ნაციონალისტურამა მოძრაობებმა ძალიან მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს XIX და XX საუკუნეებში, მათ დიდად შეუწყეს ხელი კოლონიების განთავისუფლებას.

## ქცევის მსგავსებაზე დამყარებული ერთობანი

ასეთი რთული სახელწოდებით ჩვენ განვსაზღვრავთ მთელ რიგ შედარებით თავისუფალ სოციალურ წარმონაქმნებს, რომლებსაც ზოგჯერ შეუძლიათ განავითარონ მოქმედების სოციალური უნარი; მათ არ გააჩნიათ ინსტიტუციონალიზებული შინაგანი კავშირი, მაგრამ გამოირჩევიან თავისი წევრების ქცევის მსგავსებით. მხედველობაში მაქვს ისეთი თავყრილობები, როგორცაა სხვადასხვა ფორმის ბრბო, კინოებსა და თეატრებში შეკრებილი, რადიომსმენელები და ტელემაცურებლები, მკითხველი საზოგადოება, შემდეგ სხვადასხვა კრებები, ლექციის ან თავშეყრის აუდიტორია. ზოგიერთი სოციოლოგი ან სოციალური ფსიქოლოგი ამ ფორმას „კოლექტიური ქცევის ფორმას“ უწოდებს, და მისი აღნიშვნა ტერმინით „ერთობა“ მიუღებლად მიაჩნია. ჩვენ ოდნავ გავაფართოებთ ერთობის განსაზღვრებას, რომეიც ამ თავის დასაწყისში მივიღეთ და მათაც ერთობებს ვიწოდებთ, ამასთან, ვითვალისწინებთ მათი მოქმედების უნარს და ამით გამოწვეულ შედეგს უფრო ფართო ერთობებში.

საზოგადოებრივი ცხოვრების ამ ფორმებს ჩვენ ორ ძირითად კატეგორიად: ბრბოდ და ხალხად („პუბლიკად“) ვყოფთ. ერთ ადგილას შეკრებილ ხალხს ვუწოდებთ აუდიტორიას, ხოლო ხალხს, რომელიც არ არის შეკრებილი და მისი განწყობები და მისწრაფებები მაინც პოლარიზებულია ერთი მიმართულებით, პოლარიზებულ მასას ვუწოდებთ.

ბრბო არის ადამიანთა დიდი რაოდენობის დროებითი თავშეყრა ტერიტორიაზე, რომელიც უშუალო კონტაქტის საშუალებას იძლევა, ერთი და იგივე სტიმულებზე მსგავსი ან იდენტური სახით სპონტანურად რეაგირებს. ადამიანებს ბრბოში აერთიანებთ ერთი და იგივე სტიმულით გამოწვეული მსგავსი ან იდენტური



ემოციებითა და იმპულსებით შექმნილი ფსიქიკური კავშირი. ბრბოს არ გააჩნია დადგენილი ორგანიზაციული ნორმები და არავითარი მორალური ნორმების კომპლექსი. მისი გავლენა წევრებზე ემოციურ-იმპულსური კავშირის ბუნებიდან გამომდინარეობს. ბრბოში პრიმიტიული, მაგრამ ძლიერი იმპულსები და ორგანიზაციული ნორმები ვლინდება. არსებობს სხვადასხვა სახის ბრბო, რომელთაგან ყველაზე ცნობილია და ყველაზე ხშირად აგრესიულად მოქმედ ბრბოს როგორც ვიცით ლინჩის წესით გასამართლების აქტებით, ტერორისა და ნგრევის აქტებით აღწერენ. ჩვენ ვახდენთ ბრბოს კლასიფიკაციას, ვყოფთ მას ოთხ სახეობად: აგრესიული ბრბო, გაქცეული ბრბო, მებრძოლი ბრბო და ექსპრესიული ანუ დემონსტრაციული ბრბო. აგრესიული ბრბო სამი სახისაა: ლინჩის წესით სასმართლოს მომწყობი, ესე იგი, ერთ ადამიანზე მონადირე ბრბო, ტერორის მომწყობი – ცნობილი დარბევითა და ტერორის სხვა აქტებით, რომელიც მიმართულია გარკვეული გატეგორიის პირების ან ჯგუფის წინააღმდეგ; მებრძოლი ბრბო, რომელიც გამოდის მღელვარებათა, გაფიცვების დროს, როდესაც დარბეული დემონსტრაცია ან კრება სპონტანურად არაორგანიზებულად იცავს თავს. გაქცეული ბრბოც ორი სახით ვლინდება: პანიკის დროს, რომელიც მოიცავს კრებას ან ორგანიზებულ ხალხს, მაგალითად, პანიკის დროს თეატრში, სადაც ხანძარმა იფეთქა, ან პანიკისას მიწის ძვრის დროს, მრავალი ადამიანი დამფრთხალი გარბის, შეპრობილი მხოლოდ შიშითა და თავის გადარჩენის მიზნით; დამფრთხალი ბრბოს მეორე სახეობაა პანიკური შიშით მოცული ჯარისკაცების ან სხვა ფორმალიზებული და მაღალორგანიზებული ჯგუფის პანიკური გაქცევა. მებრძოლი ბრბო - ისეთი ბრბოა, რომელიც თავს ესხმის მაღაზიებს შიმშილობისა და არეულობის დროს. დაბოლოს, ექსპრესიული ბრბო ისეთი ბრბოა, რომელიც გამოხატავს თავის შეხედულებებს, იკრიბება იმისთვის, რომ ყვირილით გამოთქვას თავისი აღფრთოვანება ან პროტესტი, მოიწონოს ან დაგმოს ხელისუფლების რაიმე წამოწყება, მოვლენა და ა.შ.

ბრბოს ყველა სახეობაში თავს იჩენს ბევრი საერთო და მსგავსი მოვლენა; უწინარეს ყოვლისა, ესაა მეტ-ნაკლებად ნათლად გამოხატული ფსიქიკური მოვლენები; პირველყოვლისა აქ ვხვდებით დეინდივიდუალიზმის მოვლენას, ესე იგი, პიროვნების ინდივიდუალური ნიშანთვისებების ნაწილობრივ დაკარგვას. ამის შედეგად ძალიან იზრდება მიბაძვისადმი მიდრეკილება. რეაქციას გარე სტიმულებზე წარმართავს არა რეფლექსი, არამედ პირველი ემოციური იმპულსი ან სხვა ადამიანების ქცევისადმი მიბაძვა. რეფლექსურობის დაკარგვა, დეინდივიდუალიზაცია აძლიერებს მთელ ბრძოლასთან სოლიდარობის გრძნობას, ამას მოსდევს ეთიკური და სამართლებრივი ნორმების მნიშვნელობის შესუსტების შეგრძნება. ბრბო ქმნის წამოწყებულ მოქმედებათა სისწორის ძლიერ გრძნობას. ემოციებით თავს მოხვეულ მოქმედებათა შეფასება არ ხდება კრიტიკულად რეფლექსის მეშვეობით. ამას გარდა, ბრბოში გაბატონებული დაძაბულობა



ზრდის საკუთარი ძალის შეგრძნებას და ამცირებს პასუხისმგებლობის გრძნობას ჩადენილი საქციელისათვის.

ამ მოვლენების წამოშობის შედეგად, ბრბოს წევრები მოქმედებენ, როგორც ჰიპნოზის გავლენის ქვეშ მყოფი ადამიანები. ხშირად ლაპარაკობენ ბრბოს ჰიპნოზზე ან ფსიქოზზე, ხოლო ადრონდელმა სოციალურმა ფსიქოლოგიამ ბრბოს განსაკუთრებული კოლექტიური ფსიქიკის თეორიაც კი შექმნა, რომელშიც თითქოსდა ინდივიდების ფსიქიკაა შერწყმული. რა თქმა უნდა, ამ თეორიებს უკვე აღარავინ არ იზიარებს, ხოლო ტერმინი „ბრბოს ჰიპნოზი“ მხოლოდ მოკლე გამოთქმაა, რომელიც ბრბოს ყველა წევრზე მსგავსი იმპულსების და ემოციების მოქმედების ინტენსივობის ძალასა და მასშტაბს აღნიშნავს. ეს „ჰიპნოზი“ მოქმედებს მეტნაკლებად ძლიერად ან სუსტად იმის მიხედვით, თუ როგორია ბრბოს რეაქციის გამომწვევი სტიმულები, კონკრეტული საზოგადოებრივ-ისტორიული სიტუაცია, რომელშიც შეიკრიბა ბრბო, და რა ინდივიდუალური თვისებები აქვთ მის წევრებს. ამ ჰიპნოზის მოქმედების ხელშემწყობი პირობები შემდეგია: წინასწარ არსებული განწყობანი და რწმენა (უფრო ადვილია ტერორისტულად განწყობილი ბრბოს შექმნა და წარმართვა მისი სამულველი ჯგუფებისა და ინსტიტუტების წინააღმდეგ). ბრბოს სამოქმედოდ აღმძვრელი ლოზუნგების შესაბამისი რწმენა და განწყობა. ახალგაზრდული ასაკი და სოციალური გამოცდილების უქონლობა (ამიტომაც, რომ დემონსტრაციის მომწყობ ბრბოს ძალიან ხშირად ახალგაზრდები შეადგენენ); გონებრივი განვიტარების დაბალი დონე და ფსიქიკაში ინტელექტუალიზმის ელემენტის უქონლობა, თავისი ქცევის გაანალიზების ჩვევის უქონლობა, ძლიერი ნებისყოფისა და მტკიცე შეხედულებათა უქონლობა.

ბრბოს გავლენა ინდივიდზე წარმავალია, თუმცა გაჩენილი განწყობილება შეიძლება დიდხანს დარჩეს. ბრბოს გამაერთიანებელი კავშირი ირღვევა თუ ახალი სტიმულები სხვა ემოციებს წარმოშობენ. თუ დემონსტრაციის მომწყობ ბრბოს წყალს გადაასხამენ ან ტერორით დამშინებელს ცეცხლს დაუშენენ, თვითშენახვის ინსტიქტის ან შიშის გავლენით, რომლებიც ინდივიდებს უკარნახებს გაიქცენ შეტაკების ადგილიდან, ბრბო იფანტება. ბრბო შეიძლება დაშალოს, აგრეთვე, სხვა გრძნობებისა და მისწრაფებების გავლენით, როგორიცაა შიმშილი, იუმორის გრძნობა, აღელვება, რომლებიც მიმართულია სხვა მიზნებისაკენ, ვიდრე ბრბოს თავდაპირველი გზნება. ასეთი ფსიქიკური მექანიზმის გამოყენებას ემყარება ბრბოს დაძლევის ან ფსიქოლოგიური განიარაღების მეთოდები ისევე,

როგორც ბრბოს გაერთიანების იმ მექანიზმების ცოდნას ემყარება მათი გაღიზიანებისა და მათი მანიპულირების ტექნიკური ხერხები.

ხალხი სრულიად სხვა სახის კოლექტიური ცხოვრების ფორმაა. ჯერ განვიხილოთ შეკრებილი ხალხი ანუ აუდიტორია. შეკრებილი ხალხი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის. უწინარეს ყოვლისა, გამოვყოფთ შემთხვევით შეკრებილ ხალხს, რომელიც



შეიძლება, აგრეთვე ორი ფორმით გამოვლინდეს: როგორც დამსვენებელი ხალხი, რომელიც ეძებს გასართობს, მაგალითად, კინოთეატრში, ცირკში, საკონცერტო დარბაზში და როგორც ინფორმაციის მაძიებელი ხალხი, რომელიც იკრიბება ლექციებზე, საინფორმაციო კრებებზე, გამოფენაზე, აგრეთვე მიტინგებსა და პოლიტიკურ კრებებზე, თუმცა მას უკვე სხვა ხასიათი აქვს.

შეკრებილი ხალხი – ეს არის გარკვეული რაოდენობის ადამიანების თავყრილობა, შეპყრობილი ერთნაირი განცდების მოლოდინით ან დაინტერესებული ერთი და იგივე საგნით. საერთო დაინტერესება და განწყობათა პოლარიზაცია ერთი და იგივე საგნის ან მოვლენის გარშემო მისი განკერძოების საფუძველია. შემდეგი ნიშანია ერთგვარად მსგავსი რეაგირებისათვის მზაობა. განწყობათა, ორიენტაციის და მოქმედებისათვის მზაობის ეს მზგავსება ხალხის გაერთიანების საფუძველია. გაერთიანების შემდეგ, მათზე ყველა ერთი და იგივე სტიმულების (ფილმი, თეატრალური დადგმა, ლექცია ან განხილვა) გავლენით ხალხის წრეში იქმნება გარკვეული მსგავსი ან საერთო რეაქციები, განცდები ან მდგრადი ორიენტაციები. ხალხი კინოში, კონცერტზე ან თეატრში იცნობიერებს თავის განწყობილებას, და ამ გაცნობიერებამ შეიძლება გააძლიეროს საერთო სტიმულის მოქმედებით გამოწვეული შთაბეჭდილება. ამრიგად, ხალხში შეიძლება გაჩნდეს ისეთივე მოვლენები, როგორც ბრბოში, სახელდობრ, საერთო ემოციური დამაბულობა, რეფლექსურობის დაკარგვა, სოლიდარობის ერთიანობის შეგრძნება. ამიტომ ხალხის ზოგიერთი სახეობა, მაგალითად, თავყრილობები, კრებები, მიტინგები, შეიძლება ადვილად გადაიქცეს ექსპრესიულ ან აგრესიულ ბრბოდ. ეს ხშირად ხდება სპორტულ სანახაობათა, ხარებთან ბრძოლის დროს, როცა ამორფული, ესე იგი, სრულიად შეზღუდული, ხალხი სანახაობის დროს „ემოციური გადამდებობის“ გავლენით დემონსტრაციებისა და ტერორის მომწყობ ბრბოდ იქცევა.

ბრბოებისა და ხალხთშეკრების მნიშვნელობა სოციალურ მდელვარებათა, რევოლუციურ განწყობილებათა, ომის, გაფიცვების პერიოდებში ვლინდება, როცა ნებისმიერი კრება ან თავყრილობა შეიძლება აგრესიულ ბრბოდ გადაიქცეს, ხოლო იგი, თავის მხრივ, მებრძოლ ჯგუფად, თუ ბრბოს ორგანიზებული ჯგუფები დაეუფლებიან, რომლებიც შეძლებენ მათ წარმართვას. გაფანტული ხალხია, მაგალითად, ერთი და იგივე გაზეთის მკითხველები, ერთი და იგივე რადიოგადაცემების მსმენელები, ერთი და იგივე სატელევიზიო პროგრამების მაყურებლები, ერთი და იგივე ჟურნალების მკითხველები. უმიზეზოდ როდი დამკვიდრებულა პოლონეთში ტერმინი „პშეკრუს კულტურა“, რომელსაც მხედველობაში აქვს პოპულარული ყოველკვირეულის მიერ შექმნილი გამოთქმის, აზროვნებისა და მოქმედების წესები. გაფანტული ხალხი – ეს არის მხოლოდ „პოლარიზებული მასა“, ესე



იგი ადამიანთა დიდი რაოდენობა, რომელთა აზროვნება და ინტერესები იდენტური სტიმულებით, ერთი მიმართულებითაა ორიენტირებული. ეს ადამიანები ცხოვრობენ არა „ერთმანეთის გვერდით“, არამედ „ერთმანეთის ახლოს“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ერთნაირად იქცევიან. როგორც ჩანს, ეს ერთნაირი ქცევა ეხება არა მარტო ზოგიერთ საკითხს: მოდას, ფილმების შეფასებას, ზოგიერთი მსახიობის ან მუსიკოსის თაყვანისცემას, გარკვეული სახის ანეკდოტების მოყოლას, არამედ შეიძლება ეხებოდეს შეხედულებებს სოციალურად უფრო მნიშვნელოვან საკითხზე, როგორცაა იდეოლოგია, რელიგია, მეცნიერება. გაფანტულ ხალხში არ იჩენს თავს ბრბოს ან თავშეყრილი დამახასიათებელი მოვლენები, ისეთი მოცულობით არ ვლინდება „ემოციური გადამდებლობა“, არ ქრება რეფლექსურობა და არ ჩნდება დეინდივიდუალიზაციის პროცესი. მაგრამ თუ, მაგალითად, რადიოგადაცემა ძალიან გამღიზიანებელია, როგორც განთქმული გადაცემა, რომელიც კომენტარს უკეთებდა მარსიანელების თავდასხმას ამერიკის შეერთებულ შტატებზე 30-იან წლებში (1938), ამან შეიძლება გამოიწვიოს პანიკა და მილიონებით ადამიანის გაქცევა. პოლარიზებული მასების, გაფანტული ხალხის ყოველგვარი სახეობა წარმოადგენს მსგავსი შეხედულებების შემუშავების, გარკვეული ინფორმაციის არაკრიტიკული მიღების, ზოგიერთ საკითხზე აზრის შექმნის ბაზას, იმისათვის მზადყოფნის ბაზას, რომ მსგავსი რეაგირება მოახდინონ იდენტურ სტიმულებზე, მაშასადამე, ისინი ყოველგვარი მოდის შექმნის, ხმების აყოლისა და გავრცელების, იდეოლოგიის მიღებისა და სოციალურ მოძრაობათა წარმოშობის ბაზას წარმოადგენენ.

## მოკლე შინაარსი.

1). სოციალური ურთიერთქმედება წარმოადგენს პროცესს, რომელშიც ადამიანები მოქმედებენ და სხვის ქმედებებზე რეაგირებენ. სოციოლოგი ამ პროცესს ორ \_ მიკრო და მაკრო დონეზე შეისწავლის. მიკროდონე პიროვნებათშორისი ურთიერთობების წვრილ ელემენტებს მოიცავს. მაკროდონეში ისეთი დიდი სტრუქტურები იგულისხმება როგორებიცაა მთავრობა და ვაჭრობა, და ისეთი ინსტიტუტები, როგორებიცაა რელიგია და ოჯახი. ნებისმიერ სოციალურ პირობებში ადამიანები ორივე დონეზე ურთიერთქმედებენ.

2). გაცვლის თეორიის საფუძველი გახდა ჰომანსის შეხედულებები სოციალურ ურთიერთქმედებებზე; მან ძირითადი ყურადღება ადამიანების ქცევებზე წახალისებისა და დანახარჯების გავლენას დაუთმო. ამ თეორიის თანახმად ადამიანის ქცევები შემდეგი ოთხი პრინციპითაა გაპირობებული: 1. რაც უფრო ხშირად იქნება ქცევა წახალისებული, მით უფრო ხშირად მეორდება ის; 2. თუ წარსულში რაიმე სიტუაციამ გამოიწვია წახალისება, ადამიანები ცდილობენ იმ სიტუაციის გამეორებას; 3. თუ ჯილდო დიდია, ადამიანები უფრო ცდილობენ მის მიღებას; 4. თუ ადამიანის მოთხოვნილებები თითქმის



მთლიანად დაკმაყოფილებულია, ადამიანები უფრო ნაკლებ ძალისხმევას ავლენენ მის დასაკმაყოფილებლად.

3). მიდისა და ბლუმერის მიერ ჩამოყალიბებული ურთიერთქმედების თეორიის თანახმად, რომელიც ცნობილია სიმბოლური ინტერაქციონიზმის სახელით, ადამიანის ყველა ქმედება კომუნიკაციებზე დაფუძნებული სოციალური ქცევის გამოვლენაა. ამ თეორიის თანახმად ორი სახის ქმედება არსებობს : უმნიშვნელო, ანუ ავტომატური რეფლექსები, და სტიმულების ინტერპრეტაციაზე დაფუძნებული მნიშვნელოვანი ქმედებები. სტიმულების ინტერპრეტაცია – ეს არის, სტიმულსა და სიმბოლოს შორის კავშირის დადგენა, და ამ სტიმულის გაცნობიერების შემდეგ საპასუხო რეაქციის შერჩევა. კომუნიკაცია შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ ადამიანებმა მოცემულ სიმბოლოს ერთნაირი მნიშვნელობა მიანიჭეს.

4). ეთნომეთოდოლოგია - ეს არის ადამიანებს შორის არსებული, ჩვეულებრივ რწმენით მიღებული, კონტაქტების რეგულირების წესების შესწავლა. ამ სფეროში არსებული გამოკვლევები მოწმობენ, რომ ურთიერთობებზე დიდ გავლენას გამოუთქმელი ვარაუდები და მნიშვნელობის რთული ჯაჭვი ახდენს.

5). ტერმინი „შთაბეჭდილებების მართვა“ შემოიღო გოფმანმა ადამიანებს შორის ურთიერთობების დასარეგულირებელი წესების აღსანიშნავად, წესებისა, რომლებიც მათთვის მისაღები სიმბოლური მნიშვნელობების გამოსახულებებს ეფუძნებოდა. გოფმანის მიერ ჩამოყალიბებული ურთიერთქმედების თეორია (ხშირად დრამატურგიულ მიდგომას უწოდებენ) სოციალურ სიტუაციას მინიატურულ დრამასთან აიგივებს, რომლის მსვლელობაში ადამიანები ცდილობენ გარკვეული შთაბეჭდილებები შექმნან. ბოროტებით დალდასმული ადამიანები შთაბეჭდილებებით მართვის დროს უხერხულობებს განიცდიან.

6). ფროიდს მიაჩნდა, რომ ადამიანები ქმნიან ჯგუფებს და რჩებიან ამ ჯგუფებში ნაწილობრივ იმიტომ, რომ მათ უყალიბდებათ ერთგულების გრძნობა და ასევე მორჩილების გრძნობა ჯგუფის ლიდერის მიმართ. ფროიდის მიხედვით ეს ხდება არა იმიტომ, რომ ლიდერებს ახასიათებთ რაღაც განსაკუთრებული თვისებები, არამედ გაპირობებულია იმით, რომ ჩვენ ლიდერებს უძლეველ, ღმერთის ტოლ პიროვნებებთან ვაიგივებთ, როგორც ბავშვობაში ჩვენი მამები გვესახებოდა.

7). გარკვეულ სიტუაციაში ინდივიდის ქცევის საფუძველზე შეიძლება. არაფორმალური როლები, ანუ ინდივიდისაგან მოსალოდნელი ქცევის ვარიანტი ჩამოყალიბდეს. ხშირად, როდესაც ჩვენ უკეთ გავიცნობთ ერთმანეთს ეს როლი ამ ინდივიდს საბოლოოდ მიეწერება.



8). ჯგუფი ეწოდება ადამიანთა ერთობას, რომელსაც ურთიერთობის გარკვეული სახე ახასიათებს, გრძნობენ თავიანთ მიკუთვნებულობას ამ ჯგუფისადმი და სხვების მიერ ამ ჯგუფის წევრებად აღიქმებიან. ჩვენ ხშირად ამა თუ იმ ადამიანის ქცევას მისი რომელიმე ჯგუფის წევრობით ვხსნით, ამას ხშირად დაუსაბუთებლადაც ვაკეთებთ.

9). პირველადი ჯგუფები შედგებიან მცირე რაოდენობის ადამიანებისაგან, რომელთა ერთმანეთთან უშუალო ურთიერთმოქმედება მათ ინდივიდუალურ თავისებურებებს ეფუძნება. პირველადი ჯგუფების მაგალითებია ოჯახი, მეგობრული წრე ან ნებისმიერი ჯგუფი, რომლის წევრებს შორის ღრმა ემოციური ურთიერთობა ჩამოყალიბდა. მისგან განსხვავებით მეორადი ჯგუფი შედგება ადამიანებისაგან რომელთა შორის სუსტი ემოციური ურთიერთობაა ჩამოყალიბებული; მათი ურთიერთობა რაიმე მიზნის მიღწევას ექვემდებარება. პიროვნების ინდივიდუალურ, განუმეორებელ თვისებებს არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ მეორადი ჯგუფების ფუნქციონირებისათვის. ზოგჯერ პირველად ჯგუფები მეორადი ჯგუფის შიგნით, ზოგიერთი პიროვნებებისაგან ყალიბდებიან.

10). მიუხედავად მეორადი ჯგუფების ბატონობისა თანამედროვე საზოგადოებაში, პირველადი ჯგუფები ადამიანსა და ცხოვრების უფრო ფორმალურ, ორგანიზაციულ მხარეს შორის მნიშვნელოვან დამაკავშირებელ ძალად კვლავ რჩებიან. მეცნიერებმა აღმოაჩინეს ე.წ. ჰოტორნის ეფექტი, რომლის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ჯგუფის კვლევის თვით ფაქტი, ზემოქმედებს ჯგუფის წევრების ქცევებზე. ამ და სხვა აღმოჩენების წყალობით მათ გააკეთეს დასკვნა, რომ შრომის სფეროში „ადამიანური ფაქტორი“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

11). ჯგუფი - ეს არის ყველაზე მაღალორგანიზებული პრიმტების, ადამიანის ჩათვლით, გადარჩენისა და არსებობის საფუძველი. სოციალიზაციის გარდა ჯგუფში სხვა მრავალი ფუნქციაცაა. ინსტრუმენტალური ჯგუფი გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად იქმნება, მაშინ, როდესაც ექსპრესიული ჯგუფი მისი წევრების ემოციური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იქმნება.

12). მნიშვნელოვან როლს ჯგუფის ზომა ასრულებს. დიადები (ორი ადამიანისაგან შემდგარი ჯგუფები), ტრიადები (სამადამიანი ჯგუფები), ლუწ და კენტრიცხოვანი ჯგუფები განსხვავებულად, მათთვის დამახასიათებელი წესებით ფუნქციონირებენ. ხუთკაციან ჯგუფებს ჩვეულებრივ არ აწუხებთ ის პრობლემები, რომლებიც სხვა ჯგუფებს სიცოცხლეს უწყამლავენ.

13). დიდსა და მცირე ჯგუფებში ძალაუფლების განაწილების წესი კომუნიკაციების საშუალებებთან მჭიდროდაა დაკავშირებული. დიდ ჯგუფებში, ჩვეულებრივ, კომუნიკაციის ცენტრი ლიდერია. ისეთი დინამიური პროცესები, როგორცაა ჯგუფის



წევრებზე ზეწოლა, რომელიც ხელს უწყობს კონფორმიზმს, ჯგუფიდან გარიცხვას და როლების ფორმირებას, ჯგუფებში პერიოდულად მეორდება.

## კითხვები

1. დაახასიათეთ სოციალური ურთიერთქმედების პროცესი;
2. რა გახდა გაცვლის თეორიის საფუძველი?
3. სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორიის თანახმად რა სახის ქმედებები არსებობს?
4. განმარტეთ ეთნომეთოდოლოგიის არსი.
5. როგორი სოციალური პროცესების დასახასიათებლად იქნა შემოტანილი ტერმინი „შთაბეჭდილებების მართვა“?
6. ფროიდის აზრით, რატომ ქმნიან ადამიანები ჯგუფებს და რჩებიან ამ ჯგუფებში?
7. ადამიანთა როგორ ერთობას ეწოდება ჯგუფი?
8. განმარტეთ პირველადი და მეორადი ჯგუფების ცნებათა შინაარსი.
9. რაში მდგომარეობს ჰოტორნის ეფექტის არსი?
10. დაახასიათეთ ინსტრუმენტალური ჯგუფის და ექსპრესიული ჯგუფის ცნებები.
11. განმარტეთ ჯგუფის სტრუქტურისა და ზომების მნიშვნელობა.
12. როგორია დიდსა და მცირე ჯგუფებში ძალაუფლების განაწილების წესი?